პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

ხუთშაბათი, 12 აგვისტო, 2004 წელი. №186 (4915) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, აღდგენილია 1990 წელს. * ფასი 50 თეთრი

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

SICI

პასუხად „მოსკოვსკი კომსომოლეცს“,

ანუ რატომ არ მოსდის თვალში ვინმე გოსპოდინ ანტონ ანტოშკინს ჩვენი პრეზიდენტი?

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თხუთმეტივე „მოძმე“ რესპუბლიკას თავ-თავისი პრეზიდენტი ჰყავს; მაგრამ არავინ ისე არ აღიზიანებს ჩვენს საერთო „უფროს ძმას“, რუსეთს, როგორც დღევანდელი დამოუკიდებელი, სუვერენული საქართველოს პრეზიდენტი. ამ გაღიზიანებას, მართალია, ყველა დონეზე არ ამჟღავნებენ, თუმცა მაინც ვერ მალავენ და, თუ მასმედია ქვეყნის ენა-პირია, სწორედ დღევანდელი რუსული პრესისა და ტელევიზიის საშუალებით იღვრება ათასგვარი სიბინძურე, რაც უწინარესად თვითონ ჩვენი რუსი „მეგობრების“ გონებრივ უსუსურობაზე მეტყველებს. საბუთიანი სათქმელი რომ არაფერი აქვთ, ტყუილებსა და ჭორებს მიმართავენ, ამ „ყველა უკადრისობაზე უსაძაგლეს საქციელს“ და ისე ცდილობენ ბურთის გატანას, ანუ ჭურში მჯდომი მკითხველისთვის დაბრმავებულ თვალში ბოლმის ნაცრის შეყრას.

„მოსკოვსკი კომსომოლეცის“ ვინმე ანტონ ანტოშკინი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ამ დღეებში უკვე რამდენჯერმე გავატარეთ დარჯაკში თავისი ჭკუამოკლე ოპუსებისთვის, რომლებსაც დროდადრო აქვეყნებს ხსენებული კომკავშირული გაზეთის ფურცლებზე, ჩანს, თავისავით ტვინგათხელებული ადამიანების მოსატყუებლად.

ანტონ ანტოშკინის ერთ-ერთი ასეთი ვაიპუბლიკაციის ნიმუშია „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ 7 აგვისტოს ნომერში პირველი გვერდის გახსნაზე დაწყებული და მეორე გვერდზე გაგრძელებული ვითომ ფოტორეპორტაჟი — „ბატონო ფიურერი“ — „Батоно Фюрер (ხედავთ, ქართული ეკერკება!).

„მრავალი ადამიანი, რომლებსაც უნახავთ მიხეილ სააკაშვილის ამ ბოლო დროის გამოსვლები პირდაპირი ეთერით — გათხელებულ ტვინს ძალას ატანს ანტოშკინი, — აღნიშნავს, რომ საქართველოს ახალი დემოკრატი-პრეზიდენტი, რომლის მოსვლაც საქართველოს ხელისუფლების სათავეში დასავლურ ღირებულებათა გამარჯვებად მიიჩნიეს, სულ უფრო მეტად ემსგავსება ევროპის დემოკრატიის მტერს — ჰიტლერს. უწინარეს ყოვლისა, თვალშისაცემია გარეგნული მსგავსება — ინტონაცია, მიმიკა, ჟესტები. თუმცა, ჩვენი გმირი ამაყობს სხვა დიქტატორთან — იოსებ სტალინთან თავისი მსგავსებით, რაც სააკაშვილის ჰოლანდიელმა მეუღლემ სანდრა რულოვსმა განაცხადა დასავლური პრესისათვის მიცემულ ინტერვიუში. აღსანიშნავია, რომ სააკაშვილი და სტალინი დაიბადნენ ერთ დღეს — 21 დეკემბერს. მაგრამ ყველა დიქტატორი ხომ რაღაცით წააგავს ერთმანეთს და მათ ბიოგრაფიებშიც შეიძლება შევნიშნოთ მსგავსება.“

და შემდეგ:

„სხვათა შორის, გერმანელი ფიურერის იდეოლოგია არის ეროვნული და მემარცხენე იდეების საინტერესო სინთეზი — „ნაციონალ-სოციალიზმი“. სააკაშვილის პარტიასაც ხომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ეწოდება, მემარცხენე იდეებისადმი ერთგულებას კი „ნაციონალები“ გვიჩვენებენ თავიანთი ყოველდღიური პრაქტიკით — ქონებას ართმევენ მდიდრებს ყოველგვარი სასამართლოსა და გამოძიების გარეშე“.

აი, ასეთ უცხო-უცხო სისულელეებს „ჩინძავს“ ერთმანეთზე ეს ჩვენი მოძულე ანტოშკინი, რომელიც, როგორც ეტყობა, სიმთვრალეში — „С ПЬЯНЫХ ГЛАЗ“ — აწვალებს კალამს და ამიტომაც, რუსული ანდაზისა არ იყოს, ЧТО ТРЕЗВОМУ НА УМЕ, ПЬЯНОМУ НА ЯЗЫКЕ.

გერმანელი ჰიტლერი ხომ არ მოსწონს და არ მოსწონს ამ ჩვენს არმოსაწონებელ ანტოშკინს, ქართველ სტალინსა და სააკაშვილს აბა რაღატომ დაინდობდა!

სტალინი, გასაგებია, რატომაც არ მოსწონს. ანდა როგორი ასატანია — შაეულვაშიანი გორელი ქართველი ოცდაათი წელიწადი „თავზე აჯდეს“ უმადურ მატუშკა რუსეთს, — რომელიც, ცხონებული ჩერჩილის თქმით, კავის ქვეყნიდან ატომურ სახელმწიფოდ აქცია.

მაშ, სააკაშვილს რაღას ესაბაბება? რაღას და ჩვენმა პრეზიდენტმა არც აცხელა, არც აცივა და ყველა დონეზე ყველას პირდაპირ უთხრა სათქმელი: მორჩა, საქართველო და ქართველი ხალხი საბოლოოდ დაგიძვრათ იმპერიული კლანჭებიდან, თუ მაინც და მაინც ჩვენთან ურთიერთობა გინდათ, თანასწორები ვიყოთო.

არაო, არაო, ყვირიან რუსი ვაიპოლიტიკოსები და ვაიჟურნალისტები, საქართველო ხომ არასოდეს ყოფილა დიდი ერთიანი სახელმწიფოო. ეგეც რომ არა, რად გვინდა, ჩვენ, რუსებს, ერთიანი საქართველოო?

აი, როგორც იტყვიან, სად არის ძაღლის თავი დამარხული.

ავადსახსენებელი მიკროფანოვის ზემოსისულელეს თავისებურად უბამს მხარს ეს ვინმე გოსპოდინი ანტოშკინი:

„კარგადაა ცნობილი ჰიტლერის მესიანობა, — წერს იგი, — მისი მიდრეკილება ოკულტიზმისადმი. ალბათ ჩვენს გმირსაც, როცა ფიცს დებდა დავით აღმაშენებლის საფლავზე, თავი საქართველოს მხსნელად წარმოედგინა. მისი გარემომცველი პირები რაღაც მისტიკურ ნიშანს ხედავენ იმაში, რომ თბილისისა და აჭარის რევოლუციები დროით დაემთხვა წმინდა გიორგის დღესასწაულს, გიორგობას, რომელიც წელიწადში ორჯერ აღინიშნება. მთელი სულითა და გულით ვუსურვებ ქართველ ხალხს, რომ მისმა ამჟამინდელმა მესიამ არ მიიყვანოს ქართველები იქამდე, სადამდეც მიიყვანა გერმანელები გერმანელმა მესიამ“.

ქართველთა ამბავი ნუ გადარდებს, გოსპოდინ ანტონ ანტოშკინო, შენ შენს ლოთ მამიდას მოუარე, რომელიც ყოველ დილა-საღამოს „პშენიჩნაიას“ ემბაზში გაბანავებს, რაც ასე თვალსაჩინოდ ეტყობა შენს ჟურნალისტურ ნაარყალს.

ჩვენი პრეზიდენტი ვისაც ჰგავს, ქართველმა ხალხმა კარგად იცის, ამიტომაც აირჩია წინამძღოლად და ამიტომაც ენდობა. ჩვენი „თვალების ახელა“ ამაოდ მოგიწადინებია.

ისე, თუ თვალების ახელაზე მიდგა საქმე, შორიდან ნუ გვეჭორავები, აქ ჩამოდი, მიიხედ-მოიხედე და თავად აგეხილება ეგ „მშიური საქართველოს“ საბოლოოდ დაკარგვით გაბოროტებული იმპერიული თვალები.

მამული

მეგლი ცოცხალი წინაპარია

ინტერპრესი

მუცო.

პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი იმედოვნებს

საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს თურქული ინვესტიციების მოზიდვის საკითხში საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის იმედი აქვს. როგორც გუშინდელ საგანგებო ბრიფინგზე პრეზიდენტმა განაცხადა, საქართველოს უახლოეს მომავალში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგადასახადო კოდექსი ექნება მთელს შავიზღვისპირეთში, რაც საშუალებას მისცემს როგორც თურქ, ისე სხვა ქვეყნების ბიზნესმენებს, საქართველოში კაპიტალი ზედმეტი რისკის გარეშე დააბანდონ.

— ჩვენ ძალიან დაინტერესებულნი ვართ, მოვიზიდოთ თურქი ინვესტორები, რაც მნიშვნელოვანწილად თავად თურქეთისთვისაც სასარგებლო იქნება, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ამ მოსაზრებას სავსებით იზიარებს საქართველოში ვიზიტად მყოფი თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯეფ ერდოგანიც. გუშინდელ საგანგებო ბრიფინგზე მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ თურქეთს მართლაც აქვს გარკვეული ინტერესები და სურვილი, რომ საქართველოში საკმაოდ სერიოზული ბიზნეს-პროექტები განახორციელოს. მისი თქმით, თურქეთის ინტერესების სფეროშია ენერგეტიკა, საგზაო ინფრასტრუქტურა, ტურიზმი და ა.შ.

ამავდროულად თურქეთის პრემიერ-მინისტრის განცხადებით, თურქეთი კვლავაც გააგრძელებს საქართველოსთან თანამშრომლობას სამხედრო სფეროში. თურქეთი ასევე მზად არის, საქართველოს პოლიტიკური მხარდაჭერაც გაუწიოს როგორც ნატოში გაწევრიანების, ისე რუსეთთან ურთიერთობების მოწესრიგების საქმეში, — აღნიშნა ერდოგანმა.

საქართველოს კურსი უცვლელია

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, „დიდი ზეწოლისა და გარკვეული პროვოკაციების მიუხედავად, ვერავინ შესძლებს, უარი ათქმევინოს საქართველოს დასავლეთთან და ევროპულ სტრუქტურებთან მჭიდრო ინტეგრაციის კურსზე“.

— „საქართველო სახელმწიფოა და ყოველთვის დაიცავს საკუთარ ინტერესებს. დღეს ქართველმა მესაზღვრეებმა მხოლოდ იმიტომ არ გაუხსნეს ცეცხლი სოხუმის საზღვაო აკვატორიაში შესულ რუსეთის დუმის დეპუტატს ვლადიმერ ჟირინოვსკის, რომ შესაბამისი თხოვნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საქართველოში რუსეთის ელჩისგან ვლადიმერ ჩხიკვიშვილისგან მიიღო“ — განაცხადა პრეზიდენტმა გუშინ საღამოს გამართულ ბრიფინგზე.

იხ. მე-2 გვ.

კანონმდებლები

საპარლამენტო კომიტეტმა პროექტს მხარი დაუჭირა

საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტს რიგგარეშე სხდომაზე რიგგარეშედ განსახილველად „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებათა პროექტი შესთავაზა. ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის მიერ მომზადებული აღნიშნული ცვლილებები გუშინ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა განიხილა და მხარიც დაუჭირა.

ცვლილებების მიხედვით, სამხედრო სავალდებულო სამსახურის ვადა ერთ წლამდე შემცირდება, ხოლო უმაღლესი განათლების მქონე პირთათვის — 6 თვემდე.

კანონპროექტის თანახმად, ნ-თვიანი სამხედრო სამსახური სავალდებულო გახდება უმაღლესი განათლების მქონე იმ პირებისთვის, რომლებიც სამხედრო კათედრის მქონე სასწავლებლებში სწავლობდნენ.

აღნიშნულ ცვლილებებს პარლამენტი პარასკევისთვის დანიშნულ რიგგარეშე სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილავს.

ინტერ-პრესი.

გვინდა, პრეზიდენტმა იცოდეს

თუ გავასხვისებთ, საკონტროლო პაკეტი მაინც დავიტოვოთ

ახლახან რედაქციამ მიიღო ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტისადმი, რომელსაც ფოთის 27 საპატიო მოქალაქე აწერს ხელს და, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

დიდი გულისყურით ვაკვირდებით „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარე სასიკეთო ცვლილებებს.

დღევანდელი ხელისუფლების თანმიმდევრული და მიზანმიმართული ქმედება იმის თქმის სრულ საფუძველს იძლევა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაც უკვე რეალობაა.

შეუიარაღებელი თვალითაც ადვილი დასანახია, რომ პროცესები უკვე დაწყებულია და მისი საბოლოო დასრულების დღეს ქართველი ერი კიდევ ერთხელ მოიხრის ქედს ამ გამარჯვების შემოქმედთა წინაშე.

ვიზიარებთ რა ქვეყნის ხელისუფლების კურსს, დავსძენთ, რომ წერილის მიზანი ნამდვილად არ არის პირმოთნეობა ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტისა და მისი გუნდის მიმართ მოღვაწეობის მოკლე დროში მიღწეული წარმატებების გამო. წერილის მიზანია, დამკვიდრებული საჯაროობის პირობებში საქართველოში მიმდინარე პროცესებზე გამოვთქვათ ჩვენი მიუკერძოებელი მოსაზრებები...

ყველაფერი უნდა გაიყიდოს, — ითქვა მაღალი ტრიბუნიდან.

ვეთანხმებით ეკონომიკის მინისტრის კახა ბენდუქიძის კონცეფციას სახელმწიფო ეკონომიკის ლიბერალიზაციის

თაობაზე. რა თქმა უნდა, სახელმწიფო უნდა გათავისუფლდეს იმ ქონებისგან, რომელიც დღემდე სახელმწიფო საკუთრებაშია და მძიმე ტვირთად აწევს ქვეყანას. მაგრამ ვერ გავიზიარებთ ბატონი მინისტრის მოსაზრებას სტრატეგიულ ობიექტებთან დაკავშირებით.

თავს ნებას მივცემთ და სტრატეგიული ობიექტების ჩვენეულ ხედვას ჩამოვაყალიბებთ.

მიგვაჩნია, რომ დაუშვებელია ისეთი ობიექტების მართვის სადავეების სხვისთვის გადაცემა, რომლებიც გარკვეული პერიოდის შემდეგ შესაძლოა მესამე პირის ხელში აღმოჩნდნენ და კვლავ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური „მორჯულების“ ბერკეტებად გამოიყენონ. ალბათ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ როდესაც გაზს, წყალს, ელექტროენერგიას და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების სათავეებს ერთ დღეში გადაგვიკეტავენ, ეს ქვეყნის პოლიტიკური ნების დასათმობად გაცილებით მეტია, ვიდრე საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილი სხვა ქვეყნის რამდენიმე ათეული მორალურად გაცვეთილი ტანკი, დღეს თუ არა ხვალ, უთუოდ რომ უნდა გაიტანონ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიიდან. ამის ყველა წინაპირობა არსებობს და ეს გარდუვალია. ტანკები გავლენ, მაგრამ არის საშიშროება სხვა ქვეყნის კაპიტალმა დაგვიპყროს.

წერილის პათოსი ისე არ უნდა იქნეს აღქმული, თითქოს ქვეყნის ეკონომიკის ლიბერალური პოლიტიკის წინააღმდეგ გამოვდივართ. არა, აქ საუბარია სულ რამდენიმე სასიცოცხლე მნიშვნელობის ობიექტზე, რომელთა გასხვისებაც არ შეიძლება, ან უნდა გასხვისდეს იმ პირობით, რომ საკონტროლო პაკეტი ქართული სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩეს. თანაც არა დროებით, არამედ სამუდამოდ და ამას კანონის ძალა უნდა მიეცეს. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ჩვენი წინაპრების ნაოცნებარის, დღეს კი თაობების დიდი მეცადინეობისა და თუნდაც სისხლის ფასად უკვე მოპოვებული თავისუფლების შენარჩუნება. სხვა შემთხვევაში კვლავ რომელიმე იმპერიის „ფილიალი“ ან რაიმე სახის დანამატი გავხდებით.

იხ. მე-2 გვ.

ნომერში წაიკითხავთ:

საკუთარ პრობლემებს ჩვენვე უნდა მივხედოთ

სავსებით სამართლიანად მიიჩნევს „ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი ზურაბ შენგელია და კონფლიქტის მოწესრიგების თავისეულ ხედვას გვაცნობს.

მე-3-4 გვ.

როგორი იქნება შურუბუმუს ხვალინდელი დღე?

ქართველი სპელეოლოგების ინიციატივით და თანხლებით ჩხოროწყუს რაონს უკვე მესამედ ეწვია ფრანგი, პოლონელი და უკრაინელი სპელეოლოგების მრავალრიცხოვანი ჯგუფი.

მე-7 გვ.

„საფორტეპიანო ზაფხულის“ ქართველი რჩეული

წლევანდელ ფესტივალში გამარჯვებულ ახალგაზრდა პიანისტს ალექსანდრე ბერიძეს პატივი ხვდა — გაისად გახსნას საიუბილეო, მეათე „საფორტეპიანო ზაფხული“ ნიუ-იორკში.

მე-8 გვ.

სულიერება

დღეს „ცოტნეობაა“

12 აგვისტო წმინდა ცოტნე დადიანის ხსენების დღეა. „ცოტნეობის“ დღესასწაული ტრადიციულად ხობის რაიონში აღინიშნება.

დღესასწაულთან დაკავშირებით ხობის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში საზეიმო წირვა აღევლინება. მთელი დღის განმავლობაში ჩატარდება სხვადასხვა სახის კულტურული და სპორტული ღონისძიებები.

12 აგვისტო საეკლესიო-სახალხო დღესასწაულად 1999 წლიდან იქცა, როცა წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, საქართველოს ეკლესიის წმინდათა დასს კიდევ ერთი წმინდანი — ცოტნე დადიანი შემატა.

ინფორმაცია

პარლამენტარები დასვენებას არ აპირებენ

საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესია 13 აგვისტოს გააგრძელებს მუშაობას. ამგვარი გადაწყვეტილება გუშინწინ, გვიან ღამით მიმდინარე სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ მიიღო.

ბურჯანაძის განცხადებით, 13 აგვისტომდე დარჩენილი ორი დღის განმავლობაში დეპუტატები საკომიტეტო მუშაობით დაკავდებიან, ხოლო 13 აგვისტოს პარლამენტი 2004 წლის გაზრდილი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს უყურის კენჭს.

პარლამენტს გადასაწყვეტი აქვს, დაასრულებს თუ არა რიგგარეშე სესია 14 აგვისტოს მუშაობას, რადგან დეპუტატებს ბიუჯეტიდან გამომდინარე ორგანული კანონები აქვთ მისაღები.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, კვლავ აქტუალურია მომავალი ორშაბათისთვის რიგგარეშე სესიის მოწვევის საკითხი, რადგან პროცედურული თვალსაზრისით და რეგლამენტის მოთხოვნების გათვალისწინებით ორგანული კანონების მიღება ერთ კვირაში შეუძლებელია.

პარასკევს პარლამენტი აირჩევს

პარასკევისთვის დანიშნულ რიგგარეშე სესიაზე საქართველოს პარლამენტი ნატოს საპარლამენტო და შავი ზღვის საპარლამენტო ასამბლეებში მუდმივმოქმედი დელეგაციების ხელმძღვანელებს აირჩევს.

ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გიორგი არველაძეა წარდგენილი, ხოლო შავი ზღვის საპარლამენტო ასამბლეის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელად — პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი.

პარლამენტმა უკვე დაამტკიცა საქართველოს მუდმივმოქმედი დელეგაციების შემადგენლობა და ხელმძღვანელები ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეასა და სამხრეთ კავკასიის საპარლამენტო ინიციატივაში.

ეტაპობრივად შერეულ მოდელზე გადავა

საქართველოს შეიარაღებული ძალები ეტაპობრივად შერეულ მოდელზე გადავა. ამის შესახებ გუშინ პარლამენტში მიწვეულმა ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის წარმომადგენელმა კახა ჩიქოვანმა განაცხადა.

მისი განმარტებით, შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შევლენ როგორც საკონტრაქტო საფუძველზე აყვანილი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც ყოველთვის სამხედრო მზადყოფნაში იქნებიან, ისე სავალდებულო სამხედრო სამსახურში მყოფი პირები რეზერვისტების სტატუსით.

„პარლამენტის მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურის ვადის ერთ წლამდე შემცირების იდეის მხარდაჭერის შემთხვევაში რეზერვისტთა რაოდენობა გაიზრდება, რაც სახელმწიფოს საშუალებას მისცემს, ძლიერი სამხედრო შეიარაღებული ძალები ჩამოაყალიბოს“ — აღნიშნა ჩიქოვანმა.

ცვლილებები ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობაში

ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებები განხორციელდება. კერძოდ, კანონის საფუძველზე საბჭოს წევრი პრემიერ-მინისტრიც გახდება. ეროვნული უშიშროების აპარატმა კონსტიტუციისა და ქვეყანაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების საფუძველზე „ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“ კანონში ცვლილებები შეიმუშავა.

ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე საქართველოს პრეზიდენტი იქნება, წევრები კი — პრემიერ-მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი და ძალოვანი მინისტრები.

ამასთან, საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის მიღება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს შეუძლია.

კანონში შესატანი ცვლილებების თანახმად, საბჭოს სხდომები დახურული იქნება, ხოლო საბჭოს წევრებს დანიშნავს და გაათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

ინტერ-პრესი.

ინტერპანორამა

ავტომობილი, რომელსაც პალესტინელი თვითმკვლელი მართავდა, ისრაელის საკონტროლო-გამშვებ პუნქტ „კალანდიასთან“ გააჩერეს. კამიკაძემ ასაფეთქებელი მოწყობილობა აამოქმედა. დაიღუპა ორი და დაიჭრა 16 ადამიანი.

მიიტური აჯანყების გამო, რომელიც უკვე კვირაზე მეტია გრძელდება, ერაყში სიტუაცია უკიდურესად დაძაბულია. აჯანყება თანდათან ახალ-ახალ ქალაქებში ვრცელდება. ბრძოლები დაიწყო ამარში, ბასრასა და ელ-კუტში. უკვე 350-ზე მეტი ადამიანია დაღუპული.



თურქეთის ჩრდილო-დასავლეთში ორი სამგზავრო მატარებელი შეეჯახა ერთმანეთს. დაიღუპა 6, ხოლო დაიჭრა ასზე მეტი კაცი.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 186, ხუთშაბათი, 12 აგვისტო, 2004 წელი.

◉ ხიდი

თბილისს თურქეთის სამთავრობო დელეგაცია ესტუმრა

თბილისს გუშინ ორდღიან ოფიციალურ ვიზიტად თურქეთის რესპუბლიკის სამთავრობო დელეგაცია ესტუმრა ქვეყნის პრემიერ-მინისტრის რეჯეფ ერდოგანის ხელმძღვანელობით.

დაგეგმილია შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან, პრემიერ-მინისტრთან ზურაბ ჟვანიასთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან ნინო ბურჯანაძესთან.

დელეგაციას თან ახლავს 120-მდე თურქი ბიზნესმენი, რომლებიც საქართველოში არსებულ საინვესტიციო გარემოს გაეცნობიან. ხვალ თურქი ბიზნესმენები პრემიერ-მინისტრთან ერთად ბათუმში გაემგზავრებიან. სავარაუდოდ, ვიზიტის დროს განხილული იქნება საქართველოში თურქული ინვესტიციების მოზიდვის და თურქული მხარის მიერ საქართველოსთვის ფინანსური დახმარების გაწევის პერსპექტივები.

შესაძლოა, თურქეთმა საქართველოში ორი ახალი ჰესის მშენებლობა და ენგურის კასკადის რეაბილიტაციის პროგრამა დააფინანსოს. ასევე იგეგმება სარფიდან თბილისამდე ავტობანის მშენებლობა. საუბარი შეეხება ასევე იმ 50 მლნ. დოლარიანი კრედიტის რესტრუქტურიზაციას, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ თურქეთისგან ჯერ კიდევ 1993 წელს აიღო.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი თურქული ბიზნეს-კონფერენციისგან კონკრეტულ პროექტებს ამ ეტაპზე არ ელის. როგორც ინტერ-პრესს კახა ბენდუქიძემ განუცხადა, გუშინ სასტუმრო „ქორთიად მარიოტში“ გახსნილი თურქული ბიზნეს-კონფერენცია თურქი ბიზნესმენების საქართველოთი დაინტერესებას შეუწყობს ხელს, კონკრეტული პროექტები კი შემდეგ გამოჩნდება.

სერიოზული ბიზნესმენები შეიძლება, მხოლოდ დაინტერესდნენ, მათ უნდა ნახონ ფინანსური ანგარიშები, შეაფასონ სხვადასხვა სფეროებში არსებული ფინანსური მდგომარეობა და მხოლოდ ამის შემდეგ დასახონ პროექტები, — განმარტა ბენდუქიძემ.

მისი თქმით, თურქმა ბიზნესმენებმა უკვე გამოხატეს დაინტერესება საქართველოს ენერგეტიკის, მსუბუქი მრეწველობისა და ტურიზმის სექტორების მიმართ.

* * *

თურქეთის პრემიერ-მინისტრის რეჯეფ ერდოგანისა და საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელთა მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა, რომ თურქული მხარე აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესში.

როგორც სახელმწიფო კანცელარიაში გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ გახდა ცნობილი, დაგეგმილია თურქეთსა და საქართველოს შორის წელიწადში ტვირთბრუნვის ერთ მილიარდ დოლარამდე გაზრდა. თურქეთის მხარე ვალდებულებას იღებს ასევე, რეკონსტრუქცია ჩაუტაროს ბათუმის აეროპორტს, რის შემდეგაც აეროპორტით ისარგებლებს როგორც თურქული, ისე ქართული მხარე. ბათუმის აეროპორტით დაინტერესებას თურქული მხარე იმით ხსნის, რომ ქალაქ ტრაპიზონის გარდა, ამ რეგიონში თურქეთს აეროპორტი არა აქვს და არ არის გამორიცხული, ბათუმის აეროპორტმა თურქეთისთვის განკუთვნილი ტვირთებიც მიიღოს.

გარდა ამისა, თურქული და ქართული მხარეების შეთანხმების თანახმად, გაუქმდება ორმაგი დაბეგვრა როგორც იმპორტზე, ისე ექსპორტზე, საქართველოს შს სამინისტროს კი 60 მილიონი დოლარი გადაეცემა.

თურქული მხარე ასევე კისრულობს ვალდებულებას, თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ყველა ქართული ისტორიული ძეგლი დაიცვას და მოუაროს.

როგორც შეხვედრაზე თურქული მხარის წარმომადგენლებმა განაცხადეს, საჭიროა, რაც შეიძლება, სწრაფად დასრულდეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტი და დაიწყოს ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის მშენებლობა.

* * *

თურქული საგამოფენო კომპანია „ტუიაფი“ „ექსპო-ჯორჯიასთან“ ერთობლივ პროექტებს განახორციელებს.

როგორც თბილისში თურქულ ბიზნეს-კონფერენციაზე ჩამოსულმა „ტუიაფის“ პრეზიდენტმა ბულენთ უნალმა განაცხადა, ოქტომბერში თბილისში „ექსპო-ჯორჯიას“ საგამოფენო დარბაზში „ტუიაფის“ ორგანიზებით მოეწყობა თურქული სამშენებლო მასალების გამოფენა.

მომავალ წელს დაგეგმილია სამი ერთობლივი გამოფენის გამართვა. პირველ გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება საწარმოო მანქანები, კერძოდ, ხის, რკინის, მეტალისა და პლასტმასის გადამამუშავებელი მანქანები. მეორე გამოფენაზე ნაჩვენები იქნება კვების პროდუქტები და შესაფუთი მასალები, — განაცხადა უნალმა.

კომპანია „ტუიაფს“ სტამბოლში უდიდესი — 57 ათასი კვადრატული მეტრის ფართის საგამოფენო დარბაზი აქვს.

* * *

ეკონომიკისა და საგარეო ვაჭრობის საკითხებში თურქეთის სახელმწიფო მინისტრის ქურშედ თუზმენის შეფასებით, საქართველოსა და თურქეთს შორის ბიზნეს-ურთიერთობები განვითარების ახალ ეტაპზეა.

როგორც თუზმენმა გუშინ სასტუმრო „ქორთიად მარიოტში“ გამართულ ბიზნეს-კონფერენციაზე განაცხადა, საქართველოსა და თურქეთს შორის არსებული სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობები კიდევ უფრო განვითარდება.

ამჟამად საქართველოსთან თურქეთს სავაჭრო პარტნიორობა, სატრანსპორტო ურთიერთობა აკავშირებს. თურქეთის მთავრობა აპირებს, ამ რეგიონში უფრო აქტიურად იმუშაოს. ამჟამად დსთ-ის სივრცეში თურქი ბიზნესმენების მიერ 6,5 მილიარდი დოლარის ღირებულების პროექტები ხორციელდება. აქედან 800 მილიონი დოლარი საქართველოზე მოდის. ჩვენ გვინდა, თურქმა ბიზნესმენებმა სხვა მიმართულებითაც იმუშაონ, — განაცხადა თუზმენმა.

მისი თქმით, თურქეთი დაინტერესებულია საქართველოში სასაზღვრო გაცვლის ცენტრის შექმნით. ასეთი სასაზღვრო ვაჭრობის ცენტრების არსებობით, რაც თურქულ და ქართულ მხარეებს არარეგისტრირებული ვაჭრობის გაკონტროლების შესაძლებლობას მისცემს. ამასთან, თურქი ბიზნესმენები დაინტერესდებიან საქართველოში საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარებით.

საქართველოსა და თურქეთს შორის სარკინიგზო ურთიერთობებიც უნდა განვითარდეს. თურქი ბიზნესმენებისათვის საინტერესოა აეროპორტების ბიზნესიც, — განაცხადა თუზმენმა.

◉ პრეზიდენტი

საქართველოს კურსი უცვლელია

(პირველი გვერდიდან)

მისი განმარტებით, რუსეთის ელჩმა საქართველოში დღეს პირადად დაურეკა პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას და სთხოვა, რომ საქართველოს ხელისუფლებას ქვეყნის ტერიტორიული წყლების აფხაზეთის აკვატორიაში შესული რუსი დეპუტატების გემის წინააღმდეგ „გამონაკლისის სახით“ ძალა არ გამოეყენებინა.

პრეზიდენტის თქმით, ანალოგიური თხოვნით მოსკოვში მყოფ საქართველოს თავდაცვის მინისტრს გიორგი ბარამიძეს რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელობამაც მიმართა.

„შექმნილ ვითარებაში საქართველო არ წავიდა სიტუაციის შემდგომ გამწვავება-გართულებაზე და ჟირინოვსკის მიეცა საშუალება, სოხუმში ჩასულიყო“, — დასძინა პრეზიდენტმა.

◉ პარლამენტის თავმჯდომარე

აიტანს, მაგრამ უპასუხოდ არ დატოვებს

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა ჯგუფის მიერ გუშინ სამგზავრო კატერით საქართველოს ტერიტორიული წყლების აფხაზეთის აკვატორიაში შესვლას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე „ოფიციალური მოსკოვის პოლიტიკად“ აფასებს.

— ძნელად წარმოსადგენია, როცა რუსეთი, ერთი მხრივ, კეთილმეზობლურ ურთიერთობას სთავაზობს საქართველოს, მეორე მხრივ კი არღვევს ყოველგვარ ხელშეკრულებას, რომელიც ორ ქვეყანას შორის აფხაზეთთან დაკავშირებით იყო გაფორმებული, — განუცხადა ჟურნალისტებს ნინო ბურჯანაძემ გუშინ საქართველოს ტერიტორიული წყლების აფხაზეთის აკვატორიაში განვითარებული მოვლენების კომენტირებისას.

მისი შეფასებით, ის, რომ აფხაზეთისკენ ნებაყოფლობით მიმავალ რუსი დეპუტატების კატერს რუსეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები აცილებდნენ, საქართველოს პროვოკაციულ სამხედრო ომში ჩათრევისკენ მიმართული მორიგი ნაბიჯია.

საქართველო ამ თავხედობასაც აიტანს, თუმცა უპასუხოდ არ დატოვებს, — დასძინა ნინო ბურჯანაძემ.

◉ ინფორმაცია

გიორგი ბარამიძემ და სერგეი ივანოვმა ხელი მოაწერეს მოლაპარაკებათა შედეგების ოქმს

საქართველოს და რუსეთის თავდაცვის მინისტრებმა გიორგი ბარამიძემ და სერგეი ივანოვმა ხელი მოაწერეს ოქმს მოსკოვში გამართული მოლაპარაკების შედეგების შესახებ. ოქმის საფუძველია რუსეთსა და საქართველოს შორის სამხედრო და სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის საკითხები, — აცნობა ჟურნალისტებს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსმა იური ბალუევსკიმ.

მისი თქმით, ოქმი შეიცავს დებულებას რუსეთის თავდაცვის სამინისტროს უმაღლეს სასწავლებლებში ქართველი სამხედრო მოსამსახურეების სწავლების შესახებ, ასევე საუბარია საქართველოს ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე.

გარდა ამისა, ბალუევსკის თქმით, მიღებულია გადაწყვეტილება ქართული მხარისათვის რუსეთის თავდაცვის სამინისტროს იმ ობიექტების გადაცემის თაობაზე, რომელიც ამჟამად ინტერესს არ წარმოადგენს და რუსეთის სამხედრო უწყება არ იყენებს.

ბალუევსკიმ მოსკოვში გამართულ საუბარს „რთული“ უწოდა და განაცხადა, რომ მხარეებმა იმ პრობლემებზე იმსჯელეს, რომლებიც სამხედრო კონტაქტების სფეროში რუსეთის სამხრეთში, კავკასიაში და საქართველოს ჩრდილოეთში არსებობს.

მხარეები იმის ურთიერთგაგებამდე მივიდნენ, რომ აუცილებელია, ეს პრობლემები ერთობლივად გადაიჭრას. ჩვენ ამ პრობლემების გადაწყვეტის კონკრეტული მიმართულებები დავსახეთ, — განაცხადა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსმა.

სამხედრო კათედრები გაუქმდება

უახლოეს მომავალში უმაღლეს სასწავლებლებში სამხედრო კათედრები გაუქმდება და შეიქმნება მსხვილი უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი.

სამხედრო კათედრების გაუქმების ინიციატივა პარლამენტარ გიგა ბოკერიას ეკუთვნის, რომელიც პარლამენტისთვის შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების წარდგენას აპირებს.

ბოკერიას თქმით, სამხედრო სამსახური სავალდებულოა და იგი ყველამ უნდა გაიაროს, უმაღლეს სასწავლებლებში არსებული სამხედრო კათედრები კი საკუთარ ფუნქციებს მინიმალურ დონეზეც კი ვერ ასრულებენ.

ფოთში პოლიტიკური ვითარება კვლავ დაიძაბა

ფოთში ბოლო დროს მიწყნარებული პოლიტიკური ვითარება კვლავ დაიძაბა. ამის მიზეზი ქალაქის მერის ვახტანგ ალანიას მიერ ექვსი თვის ვადით დანიშნული მთავრობის საკრებულოს გვერდის ავლით, ხელმეორედ დამტკიცება გახდა.

რევოლუციის შემდეგ დანიშნული ფოთის მერის მიერ გატარებული საკადრო პოლიტიკა ქალაქის საკრებულოსთვის, მმართველი პარტიის წარმომადგენელთათვის და ფოთის საზოგადოების დიდი ნაწილისთვის თავიდანვე მიუღებელი აღმოჩნდა. მერის მიერ საკრებულოსთვის დასამტკიცებლად ორჯერ წარდგენილი მთავრობა საკრებულომ არც ერთხელ არ დაამტკიცა, რის შემდეგაც ვახტანგ ალანიამ მთავრობა ექვსი თვის ვადით დანიშნა. 3 აგვისტოს დროებით მთავრობას უფლებამოსილება ამოეწურა, მაგრამ ალანიამ მთავრობის თითოეული წევრის დანიშვნაზე ცალკე განკარგულებები გამოსცა და კიდევ ერთხელ სცადა საკრებულოს გვერდის ავლით ქალაქის მთავრობის დამტკიცება.

დავით მორჩილაძე ზამთრის დამორჩილებას აპირებს

„თბილგაზის“ ახლადდანიშნულმა გენერალურმა დირექტორმა დავით მორჩილაძემ დღეს თბილისის საკრებულოში პირველი პრესკონფერენცია გამართა და ჟურნალისტებს საწარმოს სამომავლო მუშაობის საკუთარი პროგრამა გააცნო.

ჩემი მთავარი ამოცანაა, „თბილგაზი“ მომგებიან და ქმედითუნარიან ორგანიზაციად გადავაქციო, რომელსაც მილიონობით დავალიანება აღარ დაუგროვდება, — განაცხადა მორჩილაძემ.

მისი თქმით, სამოქმედო გეგმა „თბილგაზის“ სტრუქტურულ რეფორმირებას, ქსელების რეაბილიტაციას და მოსახლეობასა და საწარმოს შორის პარტნიორული ურთიერთობის დამყარებას ითვალისწინებს.

პროგრამა, რომლის განხორციელებასაც ვაპირებ, მოსახლეობისთვის უკვე ზამთრის პერიოდში გახდება ნათელი, — დასძინა მან.

◉ კონფლიქტის ზონა

ჩოჩიევის მტკიცებით, ოსებმა სროლა არ იციან

ცხინვალის ხელისუფლების განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი ბორის ჩოჩიევი კონფლიქტის ზონაში ღამით განხორციელებულ სროლებში ცხინვალის მახლობლად განლაგებულ საქართველოს სამშვიდობო ბატალიონს ადანაშაულებს. ჩოჩიევის ინფორმაციით, სროლების შედეგად ოსი ეროვნების 7 მოქალაქე დაიჭრა, რომელთაც ცხინვალის საავადმყოფოში აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება.

ჩოჩიევის განცხადებით, ღამის 23.00-დან დილის 06.00 საათამდე კონფლიქტის ზონაში დამატებით შეყვანილი სამხედრო დანაყოფები, მათ შორის, ქართველი სამშვიდობოები ყველა სახის იარაღიდან ოსური სოფლების მიმართულებით ინტენსიურ სროლებს აწარმოებდნენ. მისივე მონაცემებით, შედეგად ოსურ სოფელ დმენისში სერიოზულად დაზიანდა 20 სახლი, დაიჭრა ოსი ეროვნების 7 მოქალაქე.

ჩოჩიევის მტკიცებით, ქართული მხარე ოსურ სოფელ სარაბუკთან მდებარე სწორედ იმ ტყიდან ისროდა, რომლიდანაც რამდენიმე დღის წინათ სამხრეთ ოსეთში ვიზიტად მყოფ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ის ქვეყნებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარეს ანდრეი კოკოშინს გაუხსნეს ცეცხლი.

* * *

საქართველოს უშიშროების სამინისტრო ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებულ რუსეთის სამშვიდობო ძალებს ოსი სეპარატისტების ღია მხარდაჭერაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ გუშინდამ მომხდარი შეიარაღებული დაპირისპირების დროს რუსმა სამშვიდობოებმა ოსური მხარის მხარდაჭერა ასე ღიად პირველად გამოამჟღავნეს.

როგორც უშიშროების მინისტრის მოადგილემ გიგი უგულავამ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, მთელი ღამის განმავლობაში რუსი სამშვიდობოები ოსურ მხარეს ქართული სამშვიდობო კონტინგენტის გადაადგილების შესახებ ინფორმაციით ამარაგებდნენ.

საქართველოს ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს, თავი შეიკავოს სამხედრო ქმედებებისაგან, მაგრამ როცა ადგილი აქვს მასიურ შემოტევებს, ქართული სამშვიდობო კონტინგენტი ვალდებულია, თავდაცვის მიზნით ცეცხლი გახსნას, — დასძინა მან.

* * *

საქართველოს შს მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ადასტურებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ გუშინწინ სოფელ თამარაშენთან მომხდარ შეიარაღებულ შეტაკებებში რუსეთის სამშვიდობო ძალების გარკვეული ნაწილიც მონაწილეობდა.

ოქრუაშვილი ცხინვალის რეგიონში შექმნილ სიტუაციას „საკმაოდ მძიმედ“ აფასებს და აცხადებს, რომ ქართულ მხარეს შეტაკებებში რუსეთის სამშვიდობო ძალების მონაწილეობა ადრეც დაუფიქსირებია.

რა რეაგირებას მოახდენს ქართული მხარე ამ ფაქტთან დაკავშირებით, ოქრუაშვილს არ დაუკონკრეტებია, თუმცა აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტთან კონსულტაციების შემდეგ იქნება მიღებული.

◉ ინფორმაცია

ბედი პარტიზან ვალერი ჩხეტიანისა

გუშინწინ სოხუმიდან ქუთაისში ჩამოსვენებული ქართველი პარტიზანის ვალერი ჩხეტიანის დაკრძალვის ხარჯებს ადგილობრივი მთავრობა გაიღებს. ამის შესახებ ინტერ-პრესს ქუთაისის მერიაში განუცხადეს.

ქალაქის ვიცე-მერის თემურ იოსებაშვილის განცხადებით, უკვე გამოიყო თანხა ყველა სარიტუალო ხარჯებისთვის. ამასთანავე ადგილობრივი ბიუჯეტიდან გარდაცვლილის ოჯახი დახმარებას მიიღებს.

ჩხეტიანის ოჯახის წევრები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ აქამდე პარტიზანის ბედით და მისი ოჯახით არავინ დაინტერესებულა.

სოხუმის ციხეში გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვლილი ვალერი ჩხეტიანის ოჯახი — ავადმყოფი დედა, მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი ქუთაისში, კლინიკური საავადმყოფოს ერთ-ერთ კორპუსში ცხოვრობენ.

ზურაბ ცისკარიძეს ფინანსური პოლიცია 666 ათას ლარს ედავება

შპს „აიოს“ ყოფილ გენერალურ დირექტორს ზურაბ ცისკარიძეს ფინანსური პოლიცია 666 ათას ლარს ედავება. ცისკარიძე მიმალვაშია, მასზე ძებნაა გამოცხადებული. პოლიციამ დააყადაღა მისი წილი კომპანიაში და საცხოვრებელი სახლი ბათუმში.

სისხლის სამართლის საქმე შპს „აიოს“ ხელმძღვანელობის მიმართ გადასახადების გადახდისთვის თავის არიდების ბრალდებით ხელვაჩაურის პროკურატურაში ჯერ კიდევ ასლან აბაშიძის მმართველობის დროს აღიძრა.

კომპანიის წილი, რომელიც ბიზნესმენ დავით წულუკიძეს ეკუთვნის, ფინანსურ პოლიციას არ დაუყადაღებია და შპს „აიო“ ჯერჯერობით ფუნქციონირებას განაგრძობს.

◉ გვინდა, პრეზიდენტმა იცოდეს

თუ გავასხვისებთ, საკონტროლო პაკეტი მაინც დავიტოვოთ

(პირველი გვერდიდან)

ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ აბრეშუმის გზა და ტრანსკავკასიური მაგისტრალი რეალობაა. არც ის არის შემთხვევითი, ქ. ფოთს საქართველოს საზღვაო ჭიშკარი რომ ჰქვია.

სწორედ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის უპირატესობამ გადააწყვეტინა საუკუნის წინათ დიდ სახელმწიფო მოღვაწესა და მოაზროვნეს ნიკო ნიკოლაძეს, უარი ეთქვა ევროპაში უკეთეს პირობებში ცხოვრებაზე, უკეთეს სამსახურზე და ჭაობისა და მალარიის პირობებში ჩამოსულიყო ფოთში. მან მარტივად დაინახა ის ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი უმოკლესი გზა საქართველოა და სწორედ ფოთზე გაელით.

დიდმა ნიკომ ისიც გათვალა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში ქართული სახელმწიფო შეიძენდა ევროპასა და აზიას შორის სატრანსპორტო დერეფნის მატარებელი ქვეყნის ფუნქციას, რითაც იგი მსოფლიოსთვის მიმზიდველი გახდებოდა.

დღეს, როდესაც ასი წლის წინათ ნააზრევი უკვე რეალობად იქცა, დაიწყო ახალი პროცესები. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ სხვა საპრივატიზაციო ობიექტების პარალელურად ბოლო პერიოდში გააქტიურდა აზრი ბათუმისა და ფოთის პორტების გასხვისების თაობაზე.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი განგაში ნამდვილად არ არის უსაფუძვლო. და თუ მოვლენები სწორედ ისე განვითარდება, როგორც ეს დღევანდელი გადასახედიდან ჩანს, ერთი სიტყვით, თუ საქართველოს საზღვაო ჭიშკრის გასაღებს სხვას გადავაბარებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ უარს ვამბობთ ევროპისა და აზიის სატრანსპორტო დერეფნის სახელმწიფოს მემკვიდრეობაზე.

მოქმედი პორტების სრული გასხვისების შემთხვევაში არ უნდა გაგვეკვირდეს, თუ შემდგომი პროცესი მათი რეინვესტიცია იქნება. არც ის უნდა გაგვეკვირდეს, რომ მათ შემდგომ მფლობელებად ჩვენი ქვეყნის არაკეთილმოსურნე სუბიექტები მოგვევლინონ, რომელთაც თავიანთი გეგმები არა მარტო ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებზე, არამედ სრულიად საქართველოზე გააჩნიათ და უფრო შორს გათვლილი მიზნები ამოძრავებთ. შემდგომში, ალბათ, შავი ზღვის აუზის ქვეყნების თანამეგობრობაშიც დავკარგავთ ჩვენს ხარისხს.

ჩვენ პორტების პრივატიზაციის წინააღმდეგი არა ვართ, მაგრამ მისი საკონტროლო პაკეტი აუცილებლად უნდა დარჩეს ქართული სახელმწიფოს ხელში. რაც შეეხება გასაყიდ პაკეტს, იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველოში მოიძებნებიან ბიზნესმენები, ან ბიზნესმენთა ჯგუფი, რომლებიც დანარჩენ პაკეტს შეისყიდიან. ამით გადაარჩენენ ქართული სახელმწიფოს თვითმყოფადობას, რითაც ისტორიულად უდიდეს პატრიოტულ საქმეს გააკეთებენ და სწორი მენეჯმენტის პირობებში არც თავის ბიზნესინტერესებს დააზარალებენ. პირიქით, ერთ-ერთი საინტერესო ბიზნესსექტორის თანამფლობელები გახდებიან.

რაც შეეხება უცხოელ ინვესტორებს, თუ მათ ამის ინტერესი აქვთ, შეიძლება შევთავაზოთ, ინვესტიციები დააბანდონ ახალი პორტების მშენებლობაში. იქნებ ბევრისთვის არც არის ცნობილი, რომ არსებობს ფოთსა და ანაკლიაში ახალი პორტების მშენებლობის პროექტები, მაგრამ მათი განხორციელება შეჩერებულია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საქართველოში დღემდე არ იყო შექმნილი საინვესტიციო გარემო და ჭირდა უცხოელი ინვესტორების მოზიდვა.

დღეს, როდესაც საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების დაუღალავი მეცადინეობის შედეგად ეს პრობლემა მოხსნილია, ამ პროექტების განხორციელება უკვე რეალური ხდება.

ჩვენ მივესალმებით საქართველოში ახალი ინვესტორების შემოსვლას, თუნდაც ახალი პორტების ასაშენებლად. ახალი პორტები შექმნიან კონკურენტუნარიან გარემოს და ვისაც მიზნად საქართველოს საზღვაო ჭიშკრის ჩაკეტვა, ევრაზიის სატრანზიტო დერეფნის ფუნქციის დაკნინება აქვს განსაზღვრული, ამის სურვილი საბოლოოდ გაუქრება.

იმედს ვიტოვებთ, თუ დადგება მოქმედი პორტების გასხვისების საკითხი, იგი მოხდება წინასწარი საჯარო განხილვის საფუძველზე და იმ პრინციპების გათვალისწინებით, რაც ჩვენ ჩამოვაყალიბეთ.

აუცილებელ პირობად მიგვაჩნია, საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში მოხვედრამდე, ფოთის პორტის პრივატიზაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა მოხდეს საზოგადოებრიობის მონაწილეობით ქ. ფოთში.

უღრმესი პატივისცემითა და იმედით

ილია ტაბაღუა, რევაზ გაგუა, აბესალომ ვეკუა, ნინო ლაკია, აკაკი ცხადაია, შოთა შურღაია, ლეილა კაკულია, გრიგოლ არჩაია, ლამარა ნოდია, ბორის ბარამია, ვერა შელია, შოთა კაკულია, ჯუმბერ კუცია, გოლიათ ლაკირბაია, ალექსანდრე ცხადაია, სიმონ კაპანაძე, გიორგი სვანიძე, ჯემალ ჩახავა, გურამ ფირცხალავა, სიმონ ყურაშვილი, გენადი კაჭარავა, ვალერიან რურუა, გიორგი მილორავა, შოთა მეგრელიშვილი, ბორის გოგიჩაიშვილი, გიული ბერძენიშვილი, ვალერიან მაქაცარია.

ფოთი, 2004 წ. ივლისი.

◉ თანამშრომლობა

პირველ პროდუქციას საგაისოდ ელიან

— საქართველოსა და უკრაინის სოფლის მეურნეობის სამინისტროები უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფს შექმნინ, რომელსაც მინისტრთა მოადგილეები უხელმძღვანელებენ და რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის საკითხების რეგულირებასა და დაჩქარებას შეუწყობს ხელს, — განაცხადა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით შერვაშიძემ. — ასეთი გადაწყვეტილება, — თქვა მან, — მივიღეთ მე და ჩემმა უკრაინელმა კოლეგამ ვიქტორ სლაუტამ კიევში გამართულ შეხვედრაზე.

ქართველმა მინისტრმა ვიქტორ სლაუტასთან ქართული სამარკო ნიშნების, ძირითადად, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო (ბორჯომი) სასმელების უკანონოდ გამოყენების საკითხზეც ისაუბრა. აგვისტოს ბოლომდე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო უკრაინულ მხარეს ოფიციალურ შეტყობინებას წარუდგენს, რომელშიც გეოგრაფიული ადგილწარმოშობის დასახელების სასმელთა (ხვანჭკარა, მუკუზანი, ქინძმარაული, ნაფარეული) წარმოებაზე განსაკუთრებული შეზღუდვები იქნება დაწესებული. უკრაინული მხარე კი მზადაა, გაამკაცროს ფალსიფიკაციასთან ბრძოლა. თბილისში უკრაინელი ტექნიკური პერსონალისაგან დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი ჩამოვა, გაიმართება სხვადასხვა დონის მოლაპარაკებები, რათა ორ ქვეყანას შორის კიდევ უფრო მეტად გაიზარდოს ვაჭრობის მასშტაბები, რაც შეიძლება მეტი ქართული ხილი, ბოსტნეული, ციტრუსი გავიდეს უკრაინის ბაზარზე.

ვიზიტის ფარგლებში მოლაპარაკებები გაიმართა, აგრეთვე, ხარკოვის ტრაქტორების ქარხანაში, უწინარესად, მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების თბილისში აწყობის თვალსაზრისით, გაიხსნება საწარმოები, რომლებიც ამ მიმართულებით იმუშავებენ, დასაქმდებიან ადამიანები. როცა წარმოება წელში გაიმართება, დაიწყება უფრო მძლავრი ტრაქტორების აწყობაც.

— ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ფასები ხელმისაწვდომი იყოს ჩვენი მეწარმეებისთვის, — თქვა მინისტრმა.

გეგმის მიხედვით პირველი პროდუქცია 2005 წლის გაზაფხულზე უნდა გამოვიდეს.

ნაზი იმნაიშვილი.

ბერძნული კომპანია დათმობაზე წავიდა

ბერძნული ინვესტორი ქართულ მხარესთან დათმობაზე მიდის. შესაძლოა, მასსა და ოზურგეთის ხელისუფლებას შორის სამთვიანი კონფლიქტი დასრულდეს. ბენტონიტური თიხის მწარმოებელი ბერძნული „სილვერ ენდ მაინგ ბაინგ კომპანის“ ათენის სათაო ოფისის წარმომადგენელმა ათანასე კეფალამ დღეს ოზურგეთის ხელისუფლებას ოზურგეთის მაღაროთა სამმართველოს ახალი გენერალური დირექტორი ახილეს ლაზარიდისი წარუდგინა, რომელმაც ამ თანამდებობაზე ნიკოს ლეგოდენიმისი შეცვალა.

კეფალას განცხადებით, ათენის ოფისი ოზურგეთის მაღაროთა სამმართველოზე მთელი რიგი უფლებების დელეგირებას და მისი უფლებამოსილების გაზრდას გეგმავს.

ათენის ოფისის წარმომადგენლის განცხადებით, შპს „ასკანას“, რომელიც ოზურგეთის მაღაროთა სამმართველოს სამართალმემკვიდრეა, საქმეების დამოუკიდებლად წარმოების უფლება მიეცემა. საქართველოში კი ბერძნული ფირმა გაყიდვების განყოფილებას დააფუძნებს.

გვერდზე გამოყენებულია სააგენტო „ინტერ-პრესის“ მასალები.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 186, ხუთშაბათი, 12 აგვისტო, 2004 წელი.

⊙ დოკუმენტი

ზვიად გამსახურდიას მიმართ შეწყდა სისხლის სამართლის საქმე და სისხლისსამართლებრივი დევნა

...ას და რომან გვენცაძეს, 1991 წლის 21 დეკემბრის ღამეს, სხვა პირებთან ერთად ეძინათ უზენაესი საბჭოს შენობაში. პირადად მას ელვიძა, რადგან მის გვერდით მყოფი რ. გვენცაძე ხმამაღლა ფშვინავდა, რაც დაძინების საშუალებას არ აძლევდა. გამთენიისას იგი ფანჯრიდან გადაჰყურებდა გამზირს, საიდანაც ჩანდა როგორც უზენაესი საბჭოს კიბეები, ასევე რუსთაველის გამზირი, ქაშუეთის ეკლესია, მხატვრის სახლი და მიმდებარე ტერიტორია. რუსთაველის გამზირს ამ დროს გვიდა მეეზოვე ქალი. მან ფანჯრიდან შენიშნა ქაშუეთის ეკლესიის მხრიდან სირბილით მომავალი ავტომატებით და სხვა საბრძოლო აღჭურვილობით შეიარაღებული ოცამდე პირი, რომლებსაც ეცვათ საბჭოთა ჯარისკაცის შავი ფერის ტყაპუჭები. უმრავლესობას თავზე ეხურა ნაქსოვი შავი ფერის ქუდი. მას გაუკვირდა მათი გამოჩენა, ვინაიდან ასეთი ჩაცმულობის კანონიერი შეიარაღება მისთვის ცნობილი არ იყო. ხსენებული ჩაცმულობის პირები მან დაინახა ჯერ კიდევ წინა ღამეს, როცა ისინი თან ახლდნენ თენგიზ სიგუას, რომელიც მთავრობის სახლის წინ იყო მოსული.

შეიარაღებული ხალხის გამზირზე გამოჩენისთანავე მოქალაქეთა ერთი ნაწილი შეშინებული გაიქცა მხატვრის სახლისკენ, სადაც კარები იყო ღია. როგორც კი შეიარაღებული პირები რუსთაველის გამზირზე დადგნენ, ერთ-ერთმა, დაყოვნების გარეშე პირდაპირი ავტომატური ჯერით ცეცხლი დაუშინა უზენაესი საბჭოს იმ მხარეს, სადაც განლაგებული იყო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კაბინეტი. 50-მდე მოქალაქე ცარიელი ხელებით უეცრად ეცა მათ. თავდამსხმელებმა მოქალაქეებს მიუშვირეს ავტომატები და მათაც გაუხსნეს ცეცხლი, თვითონ კი ჯუხლით იხევდნენ ქაშუეთის ეკლესიისაკენ, სადაც კარები ღია იყო, მეორე ნაწილი გაიქცა სასტუმრო „თბილისისკენ“. მათ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებიდან აწარმოეს სროლები რუსთაველის გამზირზე როგორც ხალხის, ისე მთავრობის სახლის მიმართულებით. მან დაინახა, თუ როგორ მოხვდა ტყვია და იქვე წაიქცა გამზირის დამლაგებელი ქალი. ასევე გაუნძრევლად დაეცა სამი თუ ოთხი მამაკაცი, აგრეთვე დაიჭრა რამდენიმე პირი, რომლებიც შველას ითხოვდნენ. გადარჩენილებიდან ზოგი გარბოდა მხატვრის სახლისკენ, სადაც კარები ღია იყო, დანარჩენები კი გამორბოდნენ მთავრობის სასახლის კიბეებისკენ. მან გაალვიძა ანზორ მარგიანი და რომან გვენცაძე, რომლებსაც ყვირილით ამცნო, რომ იერიშზე გადმოვიდა შეიარაღებული ოპოზიცია, დაიჭრა და დაიღუპა ხალხი. გაგრძელებული სროლების ხმებზე გაეღვიძა თამაზ ნინუასაც. რ. გვენცაძე ყველაზე წინ გაიჭრა და დაეშვა კიბეებზე შეძახილებით — არ ესროლათ. სროლის ინტესიურობა ოდნავ შემცირდა. რ. გვენცაძე იქ მყოფ თანამშრომლებს თავაზობდა რუსთაველის გამზირზე ცოცხალი ლობის აღმართვას, მაგრამ ეს ვერ მოახერხა, ვინაიდან სროლები მაინც არ ცხრებოდა და პოლიციის მუშაკების სამიზნეებად გამოყენება არ შეიძლებოდა.

იგი შეუდგა ეროვნული გვარდიის მეთაურის ვახტანგ ქობალიას ძებნას, მაგრამ, როგორც ის, ასევე გვარდიის წევრები არსად ჩანდნენ. მან მთავრობის სახლის შიდა ეზოში თვალი მოჰკრა მილიციის ერთ-ერთ თანამშრომელს და უბრძანა, სასწრაფოდ მოეძებნა ვახტანგ ქობალია. ამ დროს გაიგო, რომ რომან გვენცაძე დაუჭრიათ და პირველი საშუალო სკოლის

...მხრიდან უზენაესი საბჭოს შენობის გვერდიდან შემოსასვლელი კარებისკენ მოხოხავდა. მას ორივე ფეხიდან სდიოდა სისხლი. ექიმებმა აღმოუჩინეს პირველად სამედიცინო დახმარება. როცა გვენცაძემ მას მიმართა: „მერაბ, რომ ხედავ, ამ ნაძირალებმა მაინც გაიტეხეს საქართველო, ტყვია გვესროლეს, იბრძოლეთ სისხლის ბოლო წვეთამდე, არ დაუთმოთ, არ დანებდეთ“. ამ დროს თავის გვარდიელებთან ერთად გამოჩნდა ვახტანგ ქობალია, რომლებსაც თურმე ეძინათ პრეზიდენტის ფლიგელის მოპირდაპირე მხარეზე არსებულ ნახევრად მიწისქვეშ განლაგებულ სართულზე.

აღნიშნულის შემდეგ ვ. ქობალია უკვე თავს უყრიდა გვარდიელებს ორივე ფლიგელს შორის არსებულ შადრევანთან და აპირებდა იერიშზე წასვლას რუსთაველის გამზირისკენ, საიდანაც უზენაესი საბჭოს შენობისაკენ როგორც ავტომატური იარაღებიდან, ისე ნაღმტყორცნებიდან და ყუმბარმტყორცნებიდან, ასევე სასტუმრო „თბილისის“ გვერდზე განლაგებული ქვემეხიდან აგრძელებდნენ ინტენსიურ სროლებს. ვ. ქობალიამ კიბეებზე განალაგა დაახლოებით 150-მდე გვარდიელი, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს სთხოვა გაემაგრებინათ მისთვის ზურგი. ამ დროს შს სამინისტროს ერთ-ერთი ოფიცერი გაიქცა იქვე მდგომი ავტომანქანისკენ, საიდანაც ამოიღო ჯავშანჟილეტი და თავისი ხელით ჩააცვა მას, რის შემდეგ ვ. ქობალია შეუდგა თავდაპირველად თავდაცვითი, შემდეგ კი შეტევითი ღონისძიებების განხორციელებას.

ტ. 113, ს.ფ. 30-37, 38-50, 51-62.

აღნიშნული გარემოებანი ასევე დადგენილია საქმეზე წარმოების განახლების შემდეგ მოწმის სახით დაკითხულ როზლანდ ლაკიას, ელზა ჩინჩლაძის, გოდერძი ქავთარაძის, მიმოზა აბაშიძის და სხვათა ჩვენებებით.

ტ. 103, ს.ფ. 100-109, 125-131, 134-140, 193-196, 258-264, 284-289, 290-293, 296-300, 309-310.

აღნიშნული ჩვენებებით გამორკვეული და დადგენილია, რომ რომან გვენცაძე არ იყო პირველად განხორციელებული სროლების თვითმხილველი მოწმე, ამასთან, პირველი გასროლების წარმოებას კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერი გვარდიელების მხრიდან ადგილი არ ჰქონია.

ამასთან, საქმეში არ მოიპოვება რაიმე მტკიცებულება, პირადი მოტივით ზვიად გამსახურდიას მიერ სახელმწიფო დაწესებულებიდან რაიმე დოკუმენტების გატაცების, გადამალვისა და მოსპობისათვის ბრალის შესარაცხად.

ასევე ვერ პოულობს დადასტურებას, თითქოსდა ზ. გამსახურდიას მიერ განხორციელებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგად საქართველო მოქცეულიყოს იზოლაციაში. საქართველო პირველი გამოეყო სსრ კავშირს და პირველმა გამოაცხადა დამოუკიდებლობის აღდგენა. მიუხედავად მტრული გარემოცვისა და ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებული მეთოდური შეტევებისა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობის თანახმად, 1991 წლის 13 ივნისიდან 1992 წლის 2 იანვრის ჩათვლით საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ცნო 28 ქვეყანამ, კერძოდ:

13 ივნისს — **სომხეთის რესპუბლიკამ;**

27 აგვისტოს — **რუმინეთმა;**

30 აგვისტოს — **აზერბაიჯანის რესპუბლიკამ;**

16 დეკემბერს — **თურქეთის რესპუბლიკამ;**

17 დეკემბერს — **უკრაინის რესპუბლიკამ;**

20 დეკემბერს — **ლიტვის რესპუბლიკამ და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკამ;**

25 დეკემბერს — **ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა.**

26 დეკემბერს — **ინდოეთმა, კუბამ, ტაილანდის სამეფომ და ბრაზილიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ;**

27 დეკემბერს — **ბელორუსიის, სლოვენიისა და მოლდავეთის რესპუბლიკებმა, ჩინეთის სახალხო და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკებმა;**

28 დეკემბერს — **იორდანიამ და ხორვატიის რესპუბლიკამ;**

29 დეკემბერს — **ალჟირის სახალხო დემოკრატიულმა რესპუბლიკამ;**

30 დეკემბერს — **ლიბანის რესპუბლიკამ;**

31 დეკემბერს — **პაკისტანის ისლამურმა რესპუბლიკამ;**

1992 წლის 2 იანვარს — **ეთიოპიამ და ერაყის რესპუბლიკამ;**

ამასთან, ასევე ვერ პოულობს დადასტურებას ბრალდების ის ნაწილი, რომლის მიხედვითაც, ზ. გამსახურდიამ, საქართველოს უზენაესი საბჭოს გვერდის ავლით, უკან გამოიხმო სამაჩაბლოს რეგიონში შეყვანილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმები, რამაც გამოიწვია დაუცველ ცხინვალის რეგიონში ქართველთა არაერთი მკვლელობა.

მოწმის, საქართველოს შინაგან საქმეთა იმჟამინდელი მინისტრის პირველი მოადგილის, მერაბ რატიანის ჩვენებით, ჯერ კიდევ 1990 წლიდან, მოსახლეობის დარბევის, ქონების გატაცების, მკვლელობების, სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა აღსაკვეთად და წესრიგის დასამყარებლად, რეგიონში შეყვანილი იქნა ქართული მილიციის ნაწილები, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობა და კურსანტები გივი კვანტალიანის ხელმძღვანელობით.

ამავე პერიოდში ცხინვალის რეგიონში განლაგებული იყო საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენაერთი. 1991 წლის შემოდგომიდან სამაჩაბლოში დისლოცირებულ შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიარაღებულ ნაწილებს ხელმძღვანელობდა საქართველოს შს მინისტრის მოადგილე, პოლკოვნიკი თენგიზ ეპიტაშვილი.

კანონიერ ხელისუფლებაზე 1991 წლის 22 დეკემბერს განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმის შემდეგ, თ. ეპიტაშვილმა, თავისი ინიციატივით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელების მითითების გარეშე, ცხინვალიდან მოხსნა ქართული მილიციის ნაწილები, თვითნებურად მიატოვა რეგიონი და დაბრუნდა თბილისში, სადაც მან მილიციის მუშაკთა და კურსანტთა ნაწილი სახლში გაუშვა, ნაწილი დაიტოვა თავისთან და დადგა შეიარაღებული ოპოზიციის მხარეს.

ტ. 113, ს. ფ. 51-62

მოწმის, ოსი ეროვნების ვალერი გაზაევის ჩვენებით, 1989 წელს მან გაიცნო ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერები, მათ შორის, ზურაბ ჭავჭავაძე, თამარ ჩხეიძე და სხვები.

1990 წლის შემოდგომაზე, ვაჟა ადამიამ მას გააცნო ზვიად გამსახურდია. მოლაპარაკებაში, რომელსაც ზ. გამსახურდიაც ესწრებოდა, შეთანხმდნენ, რომ ოსები და ქართველები იცხოვრებდნენ მეგობრულად და ყველაფერს გააკეთებდნენ ყოველგვარი კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად. ოსურმა მხარემ ზვიად გამსახურდიას პირობა მისცა, რომ არ გამოეყოფოდნენ საქართველოს და ხელს აიღებდნენ ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთებით „დიდი ოსეთის“ შექმნის იდეის განხორციელებისგან. აღნიშნული განცხადება იმავე საღამოს გადაიცა საქართველოს ცენტრალური ტელევიზიით.

1991 წლის 6 აგვისტოს იგი დაინიშნა ქ. ცხინვალის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსად. ამასთან, გადაწყდა შექმნილიყო ერთობლივი ქართულ-ოსური მილიცია, რომელიც რეგიონში წესრიგს დაამყარებდა. ამ დროს ცხინვალში განლაგებული იყო საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული სამხედრო შენაერთი, პოლკოვნიკ გენადი ბობროვნიკის მეთაურობით. ცხინვალის რეგიონში საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად შეყვანილი იქნა საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმი და ამავე სამინისტროს უმაღლესი სკოლის კურსანტები.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 161-166, 168-176, 178-184.

⊙ აფხაზეთი — მოუშუშებელი იარა

საკუთარ პრობლემებს ჩვენვე უნდა მივხედოთ

რას ნიშნავს კონფლიქტის მოწესრიგება, რა შინაარსს ვდებთ ამ ცნებაში, როგორ ესმით იგი საერთაშორისო ინსტიტუტებს, რომელთაც ძალიან დიდი როლი შეასრულეს ომის შეჩერებაში? მათი ძალისხმევა მოხმარდა იმას, რომ ქართულ და აფხაზურ მხარეს შორის ნდობის ფაქტორი როგორღაც აღდგენილიყო. მაგრამ ეს გუშინდელი დღეა. ამჟამად რა ხდება? ხომ არ ჩამორჩნენ კონფლიქტის ორ მხარეს შორის მყოფი შუამავალი ინსტიტუტები იმ ტენდენციებს და ტექნოლოგიებს, რომელთაც ჩვენი ხელისუფლება უკვე აშკარად იყენებს და საერთაშორისო არენაზე მხარდამჭერებიც ჰყავს? ამ საკითხებზე გვესაუბრება „ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი ზურაბ შენგელია:

— კონფლიქტის მოწესრიგება, ვფიქრობ, ერთ შემთხვევაში შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ შეწყდეს საომარი მოქმედებები, ანუ გაიყინოს კონფლიქტი. ხოლო, მეორე მხრივ, ეს არის ლტოლვილების დაბრუნება. მნიშვნელობა არა აქვს, თუ სად, რომელ სახელმწიფოში ვაბრუნებთ ლტოლვილებს. ამ ცნებას — კონფლიქტის მოწესრიგებას — შეიძლება ჰქონდეს სხვა შინაარსიც. კერძოდ, ჩამოყალიბდეს ერთიანი დემოკრატიული სივრცე, დავიწყოთ საერთო სამართლებრივი საზოგადოების ჩამოყალიბება საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული პოლიტიკური ტექნოლოგიების გამოყენებით, საერთაშორისო სამართლის ნორმებზე დაყრდნობით, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა პრობლემატიკის ყველა ასპექტის (ისტორიული, ეკონომიკური, ეთნიკური და ა.შ.) გათვალისწინებით, ანუ ის, რის ჩამოყალიბებასაც, ჩემი აზრით, ჩვენი ხელისუფლება აპირებს.

ვეჭვობ, რომ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებს ერთნაირად ჰქონდეთ გააზრებული კონფლიქტის მოწესრიგების შინაარსი. მაგალითად, ჩემთვის ძალიან გაუგებარია პოზიცია, რომელიც ამას წინათ გაეროს წარმომადგენელმა ჰაიდი ტალიავინმა აფხაზეთში ლუკოვის ვიზიტთან დაკავშირებით გამოხატა. შეგახსენებთ, ლუკოვმა აფხაზეთის არსებულ ხელისუფლებასთან შეხვედრისას განაცხადა: — მე, როგორც რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, აფხაზეთსა და მისი ხალხის თვითგამორკვევისაკენ მისწრაფებას დიდი სიმპათიით ვეკიდები. მე ამას ვაცხადებ ჩემი სახელით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბევრი რუსეთელიც ასევე ფიქრობსო. თანაც დასძინა, „აფხაზი ხალხის ნება არა მარტო უნდა გაიგოს, არამედ ამით უნდა იმოქმედოს კიდეც საქართველოს ხელისუფლებამ, რადგან ამის გაუთვალისწინებლობა ყოვლად უპერსპექტივოაო“?!)...

— ადრე რუსეთის მაღალჩინოსნების ასეთ გამონათქვამებს კულუარული ინფორმაციითღა თუ ვიგებდით.

— საქმეც ის არის, რომ ეს ყურმოკრული ამბავი არ არის. „აფხაზპრესის“ საშუალებით გავრცელდა. ამის მერე ქალბატონი ტალიავინი ჩადის აფხაზეთში და მიიჩნევს, რომ ეს ყველაფერი (მათ შორის, ეს გამონათქვამიც) კონფლიქტის მოწესრიგებას ხელს უწყობს. თუ ის მართლა ასე ფიქრობს, ესე იგი, საერთაშორისო სამართლებრივ ინსტიტუტებსა და საქართველოს ხელისუფლებასთან, ასევე რუსეთის ხელისუფლებასთან წინააღმდეგობაში მოდის, რადგანაც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას რუსეთის ხელისუფლებაც აღიარებს.

ეს არ არის ერთეული შემთხვევა, ჩემი აზრით, მათი არასწორი რეაქციისა. მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, მათ შორის, გაეროს, ხმა არ ამოუღიათ იმის შესახებ, რომ თბილისში ჩვენს მიერ ჩამოყვანილ ბავშვებს აფხაზეთის ხელისუფლებამ სასამართლო მოუწყო. ამ გაზაფხულზე „ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტმა“ თბილისსა და ბაკურიანში დასასვენებლად 12 აფხაზი ბავშვი (მშობლებთან ერთად) ჩამოიყვანა და თბილისში ყოფნისას საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარესა და პრემიერ-მინისტრს შეახვედრა. აფხაზეთის პარლამენტმა ამ ფაქტს სპეციალური საკომიტეტო მოსმენა მიუძღვნა, ბავშვები მოღალატეებად გამოაცხადეს, მათი მშობლები კი სამსახურებიდან გაათავისუფლეს.

— ქართველ და აფხაზ ბავშვებს ერთად ადრეც დაუსვენიათ. ასეთი მწვავე რეაქცია რამ გამოიწვია?

— სოხუმის ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ, დანაშაული ის კი არ არის, რომ ბავშვები დასასვენებლად საქართველოში წავიდნენ, დანაშაული ის არის, რომ ამ ბავშვებს საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები შეხვდნენო. გაერომ კი შემოგვითვალა, ეს ყველაფერი აფხაზეთის უშიშროების სამსახურთან უნდა შეგეთანხმებინათო. თითოეულ ბავშვს წამოსვლის შესახებ აფხაზეთის უშიშროების სამსახურისგან ნებართვა აღებული ჰქონდა.

ამ ბავშვებმა დაისვენეს ბაკურიანში (პროექტი დააფინანსა ბადრი პატარკაციშვილის ფონდმა), ნახეს თბილისი. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მათ თავიანთი შვილი გააცნო, დაამეგობრა და მის შვილთან ერთად აფხაზმა ბავშვებმა ფუნიკულიორის ბაღში ხეები დარგეს. პრემიერ-მინისტრი და პარლამენტის თავმჯდომარე შეხვდნენ ბავშვებს, მოეფერნენ, საჩუქრები გადასცეს. ჩემი აზრით, არაფერი ცუდი არ მომხდარა. როგორც აღვნიშნე, ჩასვლისთანავე ყველა ბავშვის მშობელი სამსახურიდან მოხსნეს. ერთს დახვდნენ და სცემეს. ბავშვებს სკოლაში მოღალატეებად ნათლავდნენ, მოხდა მათ წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია.

— იმის გამო, რომ უფროსებისგან საჩუქარი მიიღეს, ცხრა წლის ბავშვების მოღალატეებად გამოცხადება, ალბათ, ადამიანის უფლების დარღვევის ყველაზე დიდი გამოხატულებაა. საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ჩვენმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ხმა არც ამაზე ამოიღეს?

— არა. როგორც აღვნიშნე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობამ ნიშნის მოგებით შემოგვითვალა, პროგრამა აფხაზეთის უშიშროების სამსახურთან უნდა შეგეთანხმებინათო. ვიმეორებ, მე შევათანხმე აფხაზეთის სტრუქტურებთან ამ ბავშვების გამოსვლა, საბუთი ყველას ჰქონდა. მერე ყველა ნაბიჯი უნდა შემეთანხმებინა? არასამთავრობო ორგანიზაციები ასე არ მუშაობენ.

მათ შორის, ვინც ყველაზე სწრაფად და ეფექტურად გამოეხმაურა მომხდარს, იყო დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში დონალდ მაკლარენი, რითაც ამ ბავშვებისა და მათი მშობლების ღვთის შეწყვეტაში დიდი წვლილი შეიტანა. გარდა ამისა, ზურაბ ჟვანიამ მოსკოვში ვიზიტის დროს პრესკონფერენციაზე ამ საკითხზე ჟურნალისტის შეკითხვას ძალიან კორექტული, სწორი და კარგი პასუხი გასცა.

ამ ორმა ფაქტორმა განაპირობა ის, რომ ბავშვების მიმართ სიტუაცია ჩაწყნარდა, მაგრამ ამის შემდეგ მოქმედება უჩვეულოდ განვითარდა. ჩვენ ჯერ კიდევ დიტერ ბოდინის დროიდან გვქონდა შემუშავებული, ასე ვთქვათ, ამგვარი სვლა: თუ აფხაზეთში ვიღაცას სასწრაფოდ წამალი სჭირდებოდა (ჩვენ ძა-

იხ. მე-4 გვ.

⊙ ინფორმაცია

საბითუმო ბაზარი გამკაცრდა



საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა ენერგოკომპანიებისთვის ელექტროენერგიის გამომუშავებისა და მოხმარების აგვისტოს თვის საპროგნოზო ლიმიტები განსაზღვრა.

როგორც „ინტერ-პრესს“ საბითუმო ბაზარში განუცხადეს, ენერგობალანსში გათვალისწინებულია ქვეყნის შიდა რესურსები, რაც მთლიანად ემყარება ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიას.

ენგურჰესზე მუშა მდგომარეობაში სამი აგრეგატი იმყოფება 620 მგვტ ჯამური სიმძლავრით, არსებული ჰიდრორესურსიდან გამომდინარე, სადგურის საშუალო დღე-ღამური გამომუშავება 11,6 მლნ კვტ/სთ-ს შეადგენს.

აგვისტოს თვის საპროგნოზო საშუალო დღეღამურმა გასაყიდმა ელექტროენერგიამ ტექნიკური დანაკარგების გათვალისწინებით 17.9 მლნ კვტ/სთ შეადგინა.

თბილისისთვის დაგეგმილია ელექტროენერგიის დღე-ღამური მიწოდება 4.7 მლნ კვტ/სთ-ის ოდენობით. აჭარის ენერგოკომპანია 1.09 მლნ კვტ/სთ-ს მიიღებს, კახეთის ენერგოდისტრიბუცია — 0.395 მლნ კვტ/სთ-ს, ხოლო გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია — 3.355 მლნ კვტ/სთ-ს.

მარეგულირებელ სადგურებზე წყლის დონის რაციონალური ხარჯვისთვის ბაზარი ენერგოკომპანიებსა და მომხმარებლებს დადგენილი გრაფიკების უმკაცრეს დაცვას სთხოვს.

ბაზრებსა და ბაზრობებზე

საცალო ვაჭრობის საწარმოებმა და ამ სფეროში დასაქმებულმა ინდივიდუალურმა მეწარმეებმა 1,7 მლრდ. ლარის ღირებულების სამომხმარებლო საქონლის რეალიზება მოახდინეს, რაც 5,8 პროცენტით მეტია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე.

საცალო სავაჭრო ქსელის საწარმოების მიერ რეალიზებულია 458,4 მლნ. ლარის ღირებულების სამომხმარებლო საქონელი, რაც 24,9 პროცენტით მეტია შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით.



საცალო სავაჭრო ქსელის საწარმოების ბრუნვის თითქმის მთელი მოცულობა (99,6 პროცენტი) არასახელმწიფო სექტორის საწარმოებზე მოდის. ბრუნვის მოცულობის ზრდის ტემპები 2003 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე მაღალი იყო თბილისსა და იმერეთის მხარეში.

საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ბაზრებზე და ბაზრობებზე, ასევე მათ მიმდებარე ტერიტორიაზე სასურსათო, სამრეწველო და შერეული საქონლით მოვაჭრე ფიზიკურ პირთა რაოდენობამ ერთ დღეში საშუალოდ 65,7 ათასი კაცი შეადგინა, რომელთაგან 74,9 პროცენტი დახლზე მოვაჭრეა, 15,3 პროცენტი ბაზრობის ტერიტორიაზე განთავსებულ მაღაზიებში, ჯიხურებსა და კონტეინერებში ვაჭრობს, 9,7 პროცენტი — ბაზრებისა და ბაზრობების მიმდებარე ტერიტორიაზე და არაორგანიზებულ ბაზრობებზე.

ინტერ-პრესი.

⊙ ბაზარი

რა ბინდა, სუფთა და ბუფთა...

ოღონდ, რა ფასად?

მრავალგზის შემოწმებისა და უამრავი ამკრძალავი კანონის მიუხედავად, ბაზრებსა და ბაზრობებზე, სავაჭრო დაწესებულებებში ხშირად უხარისხო პროდუქტები იყიდება. უმეტეს შემთხვევაში ექსპერტიზა და ვეტერინარულ-სანიტარიული გამოკვლევა არ უტარდება ხორცს, თევზს, რძისა თუ სხვა კვების პროდუქტს.

სწორედ ამ საკითხებზე იყო საუბარი ამას წინათ მერიაში გამართულ თათბირზე, სადაც დარღვევების მაგალითებიც საკმაოდ მოიყვანეს.

როგორც ჩანს, მოსახლეობის ჯანმრთელობის უსაფრთხოებისა და სამომხმარებლო ბაზრის დაცვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები არასაკმარისია, ამიტომ დღის წესრიგში კვლავ დგება დამატებითი ზომების მიღების საკითხი.

ამ საქმეში კვლავ დიდია ვეტერინარული დეპარტამენტის სამსახურის როლი. სპეციალისტებს საჭიროდ მიაჩნიათ კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებების შეტანა. პასუხს ვეტერინარულ სამსახურს ვთხოვთ, მაგრამ კანონით მის მუშაკებს ვეტერინარულ-სანიტარიული დასკვნის გაცემის უფლებაც არა აქვთ.

კანონით ვეტსამსახური კრძალავს შეუმოწმებელი ხორცის ფარშის რეალიზაციას. იგი მკაცრად განსაზღვრულ დროში უნდა გაიყიდოს. კიდევ უფრო მკაცრად დგას საკითხი, თუ ფარშში საქონლის ტვინიც ურევია. ვინ იცავს ამ წესს ჩვენთან?

ცენტრალურ სუპერმარკეტში („დეზერტირების ბაზარში“) არსებულ მდგომარეობაზე ჩვენი გაზეთი ამას წინათაც წერდა.

დღეს ე.წ. დახურულ ბაზარში (ასე ეძახდნენ ამ ბაზარს ჩემს ბავშვობაში), ანუ კოლმეურნეობის მოედანზე მდებარე აგრარულ ბაზარში მივედი. დღეს იგი მდიდართა ბაზრად მოიაზრება, რადგან სხვასთან შედარებით აქ ყველაფერი ძვირია.

აი, ზოგიერთი პროდუქტის ფასი: ხორცი (საქონლის) — 6-6,50 ლარი, ქათამი — 7-7,50 ლარი, ყველი (ძროხის) — 4-5 ლარი, გუდის — 7-9 ლარი, საზამთრო — 0,40-0,50 თეთრი, ნესვი — 1-1,20 ლარი, კვერცხი — 0,20-0,25 ლარი, კიტრი — 1 ლარი, ატამი — 3,50-4 ლარი, ქლიავი — 1,50-1,20 ლარი, ბადრიჯანი — 0,40-0,50 ლარი, კარტოფილი — 0,40-0,50 ლარი.

დირექტორი ორი დღის განმავლობაში ბაზარში ვერ მოვიხელთე. ტელეფონით შეხმიანებისას კი დამიზუსტა — „ქალბატონო, ბაზარი ჩემი საკუთრებაა, არც ფასები მაინტერესებს, და არც ის, ესა და ეს პროდუქტი ან შარშან რა ღირდა, ან წლეულს რა ღირს. მოაქვთ და ყიდიან, ამიტომ ჩემი საქმეა, მოვალ თუ წავალ. სხვა საქმეებიც ბევრი მაქვს, — დამიკონკრეტა ბოლოს.



კეთილი და პატიოსანი, გავიფიქრე ჩემთვის, დირექტორი ალბათ ვერც გაერკვა, ჟურნალისტს ბაზარში რა უნდა აინტერესებდეს, მით უმეტეს, თუ მართლაც მისი საკუთრებაა, მაგრამ მთლად ასე რომ არ არის, ეს ნათელია. მიუხედავად ამისა, ბაზარში მაინც მივედი და ბუღალტერს გავესაუბრე. როგორც გავარკვიე, ეს ტერიტორია 3 წელია, ორ ნაწილად ყოფილა გაყოფილი, შპს „გორბი“, სადაც ამჟამად ვიმყოფები, **გაგა მირუაშვილს** ჰქონია იჯარით აღებული, მეორე კი ყოფილ მეპატრონეს **ჯობე დევდარიანს** ეკუთვნის. ბაზრის მეორე სართულზე სავაჭრო ცენტრი სულ სხვა პიროვნებისაა.

ბუღალტერთან ფასების დინამიკა ვერ დავადგინე, რადგან აქ არავითარ ინფორმაციას არ ფლობენ — ძვირი ბაზარია, მე თვითონაც სხვაგან დავდივარ სავაჭროდ, — მეუბნება ბუღალტერი, — მაგრამ მყიდველი მაინც არის...

ვერ შეედავები, მყიდველი ნამდვილად არის. თუმცა, საკმარისზე ცოტა, მაგრამ არის იდეალური სისუფთავე, ვერსად შეხვდებით ნაგვის გროვას, ტალახსა და გუბეს. ხილ-ბოსტნეული ისე ლამაზად უწყვიათ კრიალა დახლებზე, ძალაუნებურად იზიდავს მყიდველს, სწორედ სისუფთავისა და, როგორც აქ ამბობენ, წონაში რომ არ იტყუებიან, ამის ხარჯზე ფასს უმატებენ, თითქოს და მადლობას იმსახურებენ...

— ძვირია, სამაგიეროდ ზუსტ წონას გაძლევთ. არ მოგწონთ? მიბრძანდით „დეზერტირებში“, — ყველა გამყიდველი რატომღაც ამ ბაზრისკენ იშვერს ხელს. რამდენიმე მათგანს გავესაუბრე.

კვერცხის გამყიდველი დედოფლისწყაროელი **მარიამ ნატროშვილი** აღმოჩნდა, 85 წლის სუფთად, აკურატულად გამოწყობილი ქალბატონი, რომელიც გულღია მოსაუბრეც ყოფილა — „რამდენიმე წელია, აქ ვზივარ, კვერცხს, ზეთს და ზოგჯერ სხვა პროდუქტსაც ვყიდი, ჩემი შვილი მამარაგებს, ქირით ვცხოვრობ. „დეზერტირების“ ბაზარი დიდია, ბევრი ხალხია იქ და ძალიან ხმაურია, აქ კი წყნარად ვარ, არ ვიღლები, ჩემი კლიენტები მყავს, ძირითადად მათთვის ვვაჭრობ. ადრე, შვილო, 35 წელი კოლმეურნეობაში ვიმუშავე, მეგინდერეობაში მერგოლური ვიყავი, მინდორში ყველა სამუშაოს ვასრულებდი, რა ვიცოდი, თუ მოხუცებულობაში ბაზარში მომიხდებოდა სიარული, მაგრამ რას ვიზამთ. ბოლო პერიოდში ძალიან გაგვიჭირდა, აბა 14 ლარით, თუნდაც 20 ლარით შეიძლება ადამიანი ცხოვრობდეს, კი ვწვალობთ, სამაგიეროდ ვვარსებობთ.

ამ დროს კლიენტი მოუვიდა და ქალბატონმა მარიამმა მისთვის საგანგებოდ ჩამოტანილი ზეთი მიაწოდა.

— 37 წელია, ამ ბაზარში დავდივარ (ქალბატონმა რატომღაც ვინაობა არ გამიმხილა), აქვე ვცხოვრობ, ყველა მიცნობს და ხშირად ფასსაც კი მიკლებენ.

— სხვა ბაზარში არ დადიხართ?

— ქუდი რომ შემიგდოთ, „დეზერტირებში“ არ შევალ.

— იქ შედარებით იაფია ყველაფერი. ხორცი 4-5 ლარი ღირს.

— ხორცს საერთოდ არ ვყიდულობ, მეშინია.

— ხომ ამოწმებენ?

— იცით, რას გეტყვით ჩემო კარგო, შემმოწმებელს ფულს ჩაუდებენ, და როგორც უნდათ, ისე დააწერინებენ ყველაფერს. ახლა ისეთი დროა, საკუთარი შვილიც კი არ არის სანდო, ამიტომ მირჩევნია, არ ვიყიდო. აი, ამ ქალბატონს კი, მარიამზე მიმითითა, ყველაფერში ვენდობი, სულ მასთან დავდივარ, სახეზე აწერია, რომ პატიოსანი, მშრომელი ადამიანია, ძალიან მიყვარს...

იხ. მე-6 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 186, ხუთშაბათი, 12 აგვისტო, 2004 წელი

 აფხაზეთი — მოუშუშებელი იარა

საკუთარ პრობლემებს ჩვენვე უნდა მივხედოთ

(მესამე გვერდიდან)

ლიან ბევრს დაეხმარეთ), დიტერ ბოლდენი გაეროს ვერტმფრენის გამოყენების საშუალებას გვაძლევდა. მედიკამენტებს მისი მეოხებით ვაგზავნიდით. ბავშვებთან დაკავშირებული აჟიოტაჟის შემდეგ ამ მხრივ დიდი წინააღმდეგობა შეგვხვდა. დიაბეტით დაავადებულს ვერტმფრენით წამალი გავუგზავნეთ, მაგრამ მან ადრესატამდე ვერ მიაღწია, აფხაზური მხარის ხელში მოხვდა. ავადმყოფთან დაიწყეს სახლში დარეკვა, დაკითხვა, არადა, მათ ეშინიათ გაახმაურონ, ვინ დაეხმარა. მოკლედ, ამ წამალმა თბილისსა და სოხუმს შორის თვენახევარი იარა. ასეთი სიტუაცია რამდენჯერმე განმეორდა. ამიტომაც არის დასაფიქრებელი, როგორ ესახება თუნდაც გაეროს წარმომადგენლობას კონფლიქტის მოწესრიგება. ჰგონიათ მათ თუ არა, რომ პირდაპირი კონტაქტები ამ პროცესს ხელს უწყობს? მოგეხსენებათ, ბრიტანული ორგანიზაციის „შერიგების რესურსების“ მხარდაჭერით მომზადდა და გამოქვეყნდა „კონცეფცია საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ“. ამ დოკუმენტმა ქართველ პოლიტიკოსთა გარკვეული ნაწილის აღშფოთება გამოიწვია. ჩემი აზრით, „შერიგების რესურსებმა“, რომელმაც ქართველებსა და აფხაზებს შორის ნდობის აღსადგენად ძალიან ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა, თავისი რესურსები უკვე ამოწურა და ამჯერად უცხოური არასამთავრობო ორგანიზაცია შიდა პოლიტიკური საკითხების განხილვისკენ გადაიხარა, რაც, ჩემი აზრით, არცთუ ისე კორექტულია.

— ბატონო ზურაბ, შარშან ბერგჰოფის კონფლიქტების კონსტრუქციული მართვის ცენტრმა ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია „შერიგების რესურსებთან“ ერთად აფხაზურ-ქართული მრავალწლიანი კონფლიქტის შესახებ ფუნდამენტური დოკუმენტი გამოაქვეყნა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენ ამ დოკუმენტით უკმაყოფილო ხართ, რატომ?

— მეცნიერული თვალსაზრისით თუ მივუდგებით, ეს ნაშრომი კონფლიქტოლოგიაში უდავოდ საინტერესო გამოკვლევაა. აქ თავმოყრილია ყველა ის სამუშაო შეხვედრა, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებში შედგა ქართველ და აფხაზ პოლიტიკოსებს, საზოგადო მოღვაწეთა შორის. კი, ბატონო, ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ გასათვალისწინებელია პოლიტიკური ასპექტიც. მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო ერთ წერილს, რომლის სათაურია — „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მიზეზები“. აი, რას ვკითხულობთ მასში: „კავკასიაში რუსეთის იმპერიის დამპყრობლური პოლიტიკის შედეგად, აფხაზთა ნაწილი იძულებული გახდა სამშობლო დაეტოვებინა. დაცარიელებული მხარე თანდათან სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებით იქნა დასახლებული. საბჭოთა კავშირის არსებობის გარკვეული პერიოდების დემოგრაფიულმა პოლიტიკამ ასევე, ხელი შეუწყო იმას, რომ ეთნიკური ჯგუფების რიცხოვნობის თანაფარდობა შეცვლილიყო არა აფხაზების სასარგებლოდ. კონფლიქტამდე სსრკ-ს 1989 წლის მონაცემების მიხედვით, აფხაზეთის ასსრ-ს საერთო მოსახლეობის 45,7 პროცენტს ქართველები შეადგენდნენ, ხოლო აფხაზები 7,8 პროცენტს. ისინი უმცირესობაში იყვნენ“.

ამ წერილის მიხედვით, თურმე რუსებმა ჯერ კიდევ რევოლუციამდე გაყარეს აფხაზები, რომ იქ ქართველები ჩაესახლებინათ. მთელი მუჰაჯირობის არსი ქართველების ჩასახლება ყოფილა. წერილში ვკითხულობთ: „1918-1921 წლებში აფხაზეთი სტატუსის განსაზღვრის გარეშე ინკორპორირებულ იქნა მენშევიკური საქართველოს შემადგენლობაში, ხოლო საბჭოთა კავშირის პერიოდში უკვე ავტონომიური ერთეულის სახით იქნა შეყვანილი საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში“, ნახეთ რა კარგად „სცოდნიათ“ ისტორია.

არადა, 1921 წლის მაისში უნდა განხილულიყო ერთობლივი კონსტიტუცია, თებერვალში კი თბილისში ორჯონიკიძე შეეიდა. ეს არ არის აქ აღნიშნული.

კიდევ ერთი ციტატა აღნიშნული წერილიდან: „40-იანი წლების საბჭოთა ხელმძღვანელების პოლიტიკით აფხაზური ენის გამოყენების სფეროს მნიშვნელოვანი შეზღუდვა, აფხაზების მიერ აღქმული იქნა, როგორც საქართველოს ინტერესების გამტარებელი პოლიტიკა“. რატომ 40-იანი წლები, როდესაც აფხაზებს 60 წლის მანძილზე დამწერლობა ხუთჯერ შეეცვალათ? რა არის ეს 40-იანი წლები, რომელიც აფხაზებს ასე აღიზიანებთ? საქმე ის გახლავთ, რომ 40-იან წლებში, 1938-54 წლამდე იყო ერთადერთი პერიოდი, როცა აფხაზებს ქართული შრიფტი ჰქონდათ. ე.ი. მაშინ, როდესაც აფხაზები რუსული შრიფტით სარგებლობდნენ, მათი უფლებები შეზღუდული არ იყო, არც მაშინ იზღუდებოდა მათი უფლებები, როცა ჰქონდათ ლათინური შრიფტი, მაგრამ ენის შეზღუდვა თურმე გამოიხატა იმაში, რომ მათ 16 წლის მანძილზე ქართული შრიფტი მისცეს.

ჯორჯ ჰიუტს „პროქართულობას“ ვერავინ დასწამებს. „რესპუბლიკა აბხაზიაში“ გამოქვეყნდა მისი სტატია, სადაც სინანულით წერს, „რა თქმა უნდა, არა მარტო აფხაზურს, არამედ მთელ ჩრდილოეთ კავკასიურ ენებს ყველაზე მეტად ქართული შრიფტი მიესადაგებაო“.

მოკლედ რომ ვთქვათ, აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, კონფლიქტის მიზეზები ყოფილა პირველი ის, რომ თურმე რუსეთმა მუჰაჯირობა ქართველების სასარგებლოდ მოახდინა და აფხაზეთში ქართველები ჩაასახლა, მეორე, 1921 წელს აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში ძალით შეუყვანიათ. აფხაზებისთვის შეუზღუდავთ აფხაზური ენის გამოყენების სფერო, იმიტომ რომ მათ ქართული შრიფტი მისცეს. ის კი, რომ 60 წლის მანძილზე მუახნის კაცს ხუთჯერ შეუცვალეს შრიფტი და ხუთჯერ ასწავლეს თავის ენაზე წერა-კითხვა, შეზღუდვა არ ყოფილა. პრობლემად მხოლოდ ქართული შრიფტი მიუჩნევიათ.

— საინტერესო ის არის, რომ ამ დოკუმენტის შექმნაში ძალიან ბევრი ქართველი მონაწილეობდა, დოკუმენტში სტატის ავტორთა სია წარმოდგენილი.

— ვფიქრობ, რომ ეს მათი ბრალი არ არის. ეს ყველაფერი ცალ-ცალკეა გაკეთებული და მერეა ერთად თავმოყრილი. არ ვიცი, ეს მასალა კონკრეტულად ვინ წაიკითხა და მხარი ვინ დაუჭირა, ამიტომ გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ.

გაუგებარია, ვის წისქვილზე ასხამს წყალს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მიზეზების ასეთნაირად ჩამოყალიბება. არა მგონია, რომ ეს თუნდაც აფხაზური მხარის ინტერესებში იყოს. ეს არის კონფლიქტის ძალიან პრიმიტიული გაგება. სოხუმში ფინჯან ყავაზე ამ კონფლიქტის მიზეზების გაცილებით ღრმა და სწორი ანალიზი კეთდება დღესაც. ვფიქრობ, რომ კონფლიქტების მიზეზების სწორი გაგება ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანია.

— და ბოლოს ბატონო ზურაბ, ამ რამდენიმე ხნის წინათ პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ წერილი მიიღო, რომელშიც საუბარია თბილისში ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა პრობლემების კვლევის ცენტრის შექმნაზე. წერილის ავტორი თქვენ ბრძანდებით. თქვენ პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართავთ, რომ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ბაზაზე აფხაზური მხარის მონაწილეობით გსურთ თბილისში ჩამოაყალიბოთ აფხაზურ ურთიერთობათა პრობლემების კვლევის ცენტრი, სადაც ორივე მხარეს საშუალება ექნება აღნიშნული პრობლემის გარშემო ერთმანეთს თავიანთი ხედვა გაუზიარონ და მათ გადასაწყვეტად რეკომენდაციები შეიმუშაონ. თქვენი ინიციატივა მხოლოდ იდეის დონეზეა?

— ვფიქრობ, ეს იდეა მალე განხორციელდება. ამ იდეას მხარი ჯერ კიდევ საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა დაუჭირა, ასევე მხარს უჭერს პრემიერ-მინისტრიც. ასზე მეტი აფხაზი, მიუხედავად ეკონომიკური სიდუხჭირისა, საკუთარი დანაზოგიდან დებს ფულს, რათა აშენდეს ცენტრი თბილისში, სადაც ქართველები და აფხაზები ერთად დაესხდებით და ვილაპარაკებთ კონფლიქტის მიზეზებსა და მისი აღმოფხვრის მექანიზმებზე. ერთმა აფხაზმა მხოლოდ ასი მანეთი დადო, რაც სულ რაღაც სამი დოლარია. მას მეტი არ შეეძლო, მაგრამ სურვილი ხომ ჰქონდა. საერთაშორისო ორგანიზაციებმა კონფლიქტის გაყინვის პროცესი მოაგვარეს. დანარჩენი ჩვენზეა.

ესაუბრა
მზია გელენავა.

წუთისოფელი

ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა

ჩაწერილი ექიმ დავით კვიტაიშვილის მიერ თბილისის მეორე კოლონიაში, ორთაჭალაში, 1948 წელს

გვანჯი ჩიქოვანი.

ისევ ნესტორს დავეთათბირე, როგორ მოვქცეულიყავი. ნესტორმა დამარიგა, წადი იოსებ მკერვალთან და გააგებინე შენი მდგომარეობაო. მივედი იოსებთან. იოსებმა მითხრა, სასწრაფოდ გამეგზავნა დეპეშა ყარამან მარღანიასათვის, რომელიც იმჟამად ტროიცკო-სავრასკში იმყოფებოდა. დაჯდა და დეპეშის ტექსტი თვითონ შეადგინა. დეპეშა ასეთი იყო: გენერალ ყარამან მარღანიას — მე ამიკრძალეს ირკუტსკში ცხოვრება. არ ვიცი, რა მიზეზით. გთხოვთ, დამრთოთ თქვენთან ჩამოსვლის ნება... ეს დეპეშა იოსებმა გასაგზავნად გაატანა თავის დისწულს, ახალგაზრდა ყმაწვილს, კოლიას, რომელიც მასთან სტუმრად იყო.

ამის შემდეგ მივედი ხან ხასაევთან. ვუამბე, თუ რა მდგომარეობაში ვიყავი. ისა და მისი ცოლი ძლიერ შეაწუხა ამ ამბავმა, მაგრამ ვერაფრით ვერ დამეხმარებოდნენ. ხან ხასაევმა გამისწორა საბოლოო ანგარიში. მერგო ოთხიათას ხუთასი მანეთი. მეორე დღეს გენერალ მარღანიასგან მომივიდა დეპეშის პასუხი და 100 მანეთი. იგი მწერდა: ჩქარა ჩამოდი. გელოდები ყოველდღე. მარღანია. ამან ძლიერ გამახარა. ახლა უკვე საცოლესა და მის მშობლებს ყველაფერი ვუამბე. საცოლემ ბევრი იტირა. ვერაფრით დავამშვიდე.

აი, სამი დღეც გაიარა. ხვალ მეოთხე დღე გათენდება და უნდა დავტოვო ირკუტსკი. ოქტომბრის ბოლო დღეებია. თოვს, მაგრამ ჰაერში სიცივე არ იგრძნობა. საცოლესთან მივდივარ. ამ დროს გზაში შემომხვდა გუბერნატორის კანცელარიის უფროსი, ჩემი კეთილისმყოფელი ზაგჟევსკი და გახარებულმა მომაძახა: სად დაიკარგეთ, თავადო? ორი დღეა, დაგეძებთ, ნება მიბოძეთ გულითადად მოგილოცოთ დიდი ბედნიერება!.. — მითხრა და მაგრად ჩამომართვა ხელი. მე გაოგნებული შევყურებ ამ კაცს და ვეუბნები, ვერაფერი გამიგია-მეთქი. ჩემთვის ვფიქრობ, მოსალოცად კი არა, სატირლად არის ჩემი საქმე.

მას გაეცინა, მხარზე ხელი დამკრა და მითხრა: მიღებულია მისი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის ხელმოწერილი ბრძანება თქვენს შეწყალებასა და დაუყოვნებლივ გათავისუფლებაზე. ხვალ 9 საათზე მობრძანდით კანცელარიაში გუბერნატორთან და დოკუმენტები ჩაიბარეთ.

ამის გაგონებაზე სიხარულისგან ენა დამება და გული ამიჩუყდა. აღარ ვიცოდი, როგორ გამომეხატა ჩემი მადლიერება ზაგჟევსკის მიმართ. სასწრაფოდ გავექანდი ნესტორთან. ნესტორი გადამეხვია, მომილოცა და მითხრა — ვინც თავის შველას დროზე არ ეძებს, არც ერთი ადამიანად და კაცად არ ივარგებსო.

მეორე დილით ზაგჟევსკიმ შემიყვანა გუბერნატორ იუგანთან. გაღიმებული გუბერნატორი წამოდგა და ნანატრი ქაღალდის მოსვლა მომილოცა. შემდეგ ფეხზე ამდგარმა წამიკითხა, რომ მეფემ შეიწყნარა მამაჩემის მიერ გაგზავნილი თხოვნა, იაპონიის ფრონტზე გამოჩენილი გულადობისათვის მეპატია სასჯელი და მომენიჭა თავისუფლება. გუბერნატორმა იქვე გადმომცა გათავისუფლების ქაღალდი. მე მას უღრმესი მადლობა გადავუხადე და სიხარულისაგან გულაძგერებული გამოვედი.

იქიდან ჟანდარმთა სამმართველოში წავედი. შევდივარ და როტმისტრი სამოხვალოვი დამცინავი ღიმილით მხვდება, ირონიული კილოთი მეკითხება: რაო, ჩიქოვანო, რომელი მხარე ამოირჩიე? — ამას ამბობს და თან ბილეთს მაწვდის. მე ხმისამოუღებლად გამოვართვი ეს ე. წ. „მგლის ბილეთი“, მის თვალწინ ნაკუწებად ვაქციე და ცხვირწინ, მაგიდაზე დავუყარე.

ამას ნამდვილად არ მოელოდა. სახე მთლად მოენგრა. გაფითრებული ტუჩები სიბრაზისგან აუცახცახდა და დამიყვირა: როგორ ბედავთ ამის გაკეთებას?!

მე მშვიდად ამოვიღე იმპერატორის ბრძანება და გავუწოდე. დახედა, თვალები გაუფართოვდა, სმენაზე დადგა და გულმოდგინედ დაიწყო კითხვა. შემდეგ შემომხედა, სიმწრით გაიცინა და მომილოცა. ცივად გავშორდი და წამოვედი.

სასწრაფოდ გავუგზავნე დეპეშა გენერალ მარღანიას. იმ საღამოსვე მომივიდა მისი პასუხი მილოცვითურთ და 100 მანეთი. ყარამან მარღანია მთხოვდა, სამშობლოში ირკუტსკიდან თან წამოეყვანა მიშა სიამაშვილი, რომელმაც იქ დაამთავრა სამთო სასწავლებელი და ჩარჩა, ქალებზე იყო გადაყოლილი. მიშას დაველაპარაკე, დამიჯერა და მართლაც წამოვიყვანე საქართველოში.

წამოსვლამდე ჩემი საცოლის მშობლებთან მივედი და სრულიად გულწრფელად განვუცხადე, რომ მათი ქალიშვილი ნადეჟდა მიყვარს და გადაწყვეტილი მაქვს მასზე დაქორწინება. მათ ისიც ვუთხარი, რომ ახლა ყოველ მიზეზს გარეშე უნდა წავსულიყავი სამშობლოში, სადაც დავიბადე და აღვიზარდე. ვთხოვე, თუკი მენდობით და თქვენს ქალიშვილს შეინახავთ ჩემს სახელზე, პატიოსან, ვაჟკაცურ სიტყვას ვდებ თქვენთან, ჩემს საცოლესთან და ყველა ჩემს მეგობარ-ახლობელთან, რომ როგორც კი მოვაგვარებ ოჯახურ საქმეებს, მაშინვე გაცნობებთ, ან მე თვითონ ჩამოვალ და ჩემს საცოლეს წავიყვან...

ისინი დამთანხმდნენ. მე სამშობლოში გასამგზავრებლად დავიწყე მზადება. მეგობრები სათითაოდ ვინახულე. შეძლებისდაგვარად, ყველას პატივი ვეცი. მეცხრე დღეზე წამოვედი ირკუტსკიდან. სადგურზე გამომაცილეს, როგორც მეგობრებმა, ასევე ჩემმა საცოლემ და მისმა ძმებმა. კარგად ვიმგზავრე. მშვიდობით დავუბრუნდი დედ-მამას. ჩემმა გათავისუფლებამ და დაბრუნებამ აუწერელი სიხარული გამოიწვია ჩემს ოჯახსა და ნათესავ-მეგობრებში. რამდენიმე კვირის განმავლობაში განუწყვეტელი ქეიფი იყო ჩვენთან, ჩემი აღმზრდელის და ახლო ნათესავის ოჯახებში. ყველას ვასაჩუქრებდი და მეც ბევრი საჩუქარი მივიღე.


თედო სახოკია, 1891 წ.

ცოტა ხანმა რომ გაიარა, დედ-მამას გავუმხილე ჩემი გადაწყვეტილება ნიკოლაევას ქალის ცოლად შერთვის თაობაზე. მათ, რა თქმა უნდა, არ სურდათ, უცხო ეროვნების ქალი რომ შემერთო, მაგრამ წინააღმდეგობა არ გაუწევიათ და მითხრეს, როგორც თავად გიჯობს, ისე მოიქეცი, ამ ამბავში ჩვენ მხოლოდ დაგეხმარებით და ხელს არ შეგიშლითო.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 147-151, 153-166, 168, 170, 173, 174, 176-179, 181-185.

რეგიონები

მხარე

ქუთაისის მერი „თეთრი ხიდიდან“ გადახტომას აპირებს

ქუთაისის მერი გია გიორგაძე ისტორიული „თეთრი ხიდიდან“ გადახტომას აპირებს. მასთან ერთად ამ აქციას ათეულობით ქუთაისელი შეუერთდება.

ხიდიდან გადახტომის იდეა იმერეთში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულს დავით მუმლაძეს ეკუთვნის, რომელსაც სურს, „თეთრ ხიდზე“ ცნობილი ქართული ფილმის „არაჩვეულებრივი გამოფენის“ სახეები გააცოცხლოს.

მასობრივი გადახტომის აქცია 13 აგვისტოს მოეწყობა. მოხალისეები მდინარე რიონში „ამპრედუზო მედუზოს“ ძახილით გადაეშვებიან.

რეჟისორმა ელდარ შენგელაიამ „არაჩვეულებრივი გამოფენა“ 1968 წელს ქუთაისში გადაიღო.

ხანძრების ჩაქრობა თქვენ მერე ნახეთ

ქუთაისელი მეხანძრეები გადასამზადებლად დიდი ბრიტანეთის ქალაქ ნიუპორტში გაემგზავრებიან. ეს გადაწყვეტილება ნიუპორტის ადმინისტრაციამ ერთი კვირის წინათ დიდ ბრიტანეთში ვიზიტად მყოფ პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულთან იმერეთში დავით მუმლაძესთან და ქუთაისის მერთან გია გიორგაძესთან შეხვედრაზე მიიღო.

„ეს არის დამეგობრებული ქალაქის — ნიუპორტის კიდევ ერთი კეთილი ჟესტი“, — განუცხადა „ინტერპრესს“ დავით მუმლაძემ.

მისი თქმით, მეხანძრეების გადამზადება ეტაპობრივად განხორციელდება. ამასთანავე ნიუპორტის მერია იზრუნებს ქუთაისელი მეხანძრეების უნიფორმებით აღჭურვაზე.

ქუთაისი და ნიუპორტი 15 წლის წინათ დამეგობრდნენ.

მწეველი ორსული. მეორე სულს მაინც გაუფრთხილდი

თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ ორსულობის პერიოდში ქალთა 40,69 პროცენტი თამბაქოს მომხმარებელია. მათ შორის, თბილისში თამბაქოს ორსულ ქალთა 41,36 პროცენტი მოიხმარს, ქუთაისში კი — 38,74 პროცენტი.

ორსულობის პერიოდში სიგარეტის მწეველ ქალთა პროცენტული რაოდენობა გასულ წლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მთელი რიგი გართულებების მიზეზი ხდება. ორსულობის პერიოდში ქალის მიერ თამბაქოს მოხმარება მის ჯანმრთელობას განსაკუთრებულად აზიანებს და ნაყოფისა და ახალშობილის სიცოცხლეს საშიშროების წინაშე აყენებს.

თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრი მიიჩნევს, რომ ქალის მიერ ორსულობის პერიოდში თამბაქოს მოხმარება შეგნებული დანაშაულია საკუთარი შვილის, ოჯახისა და მთლიანად საზოგადოების წინაშე, რაც უმრავლეს შემთხვევაში გამოუსწორებელ შედეგებს იწვევს.

თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრი „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში იმ ცვლილებებისა და დამატებების შეტანას მოითხოვს, რომლებიც ორსულობის პერიოდში თამბაქოს მოხმარების აკრძალვას ითვალისწინებს.



ცენტრის მიერ შემუშავებული ცვლილებების პროექტის თანახმად, ამ წესის დარღვევისთვის ორსულ ქალზე სასჯელი გავრცელდება, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსში აისახება. სასჯელის მიზეზად სხვისი სიცოცხლისთვის ზიანის შეგნებულად მიყენება დასახელდება.

„ბავშვებში, მოზარდებში და ორსულ ქალებში თამბაქოს მოხმარება არის სეგმენტი, რომელშიც ყოველგვარი კომპრომისი დაუშვებელია და უზნეობაა“, — აცხადებენ ცენტრში.

ციმბირის წყლული იმერეთში

ქუთაისის ინფექციურ საავადმყოფოში ციმბირის წყლულით დაავადებული კიდევ რამდენიმე ადამიანი მიიყვანეს. როგორც ვეტერინარიის სამსახურში აცხადებენ, ინფექცია წყალტუბოს რაიონის სოფლებში ფერნალსა და ფარცხანაყანებში გავრცელდა. ორივე სოფელში სპეციალისტები ცხოველთა იმუნიზაციას ატარებენ. უკვე გარდაცვლილ ცხოველებს ასაფლავებენ და სამარხს ბეტონის სქელი ფენით ფარავენ.

როგორც „ინტერ-პრესს“ იმერეთის ჯანდაცვის სამხარეო დეპარტამენტში განუცხადეს, ოპერატიულად ტარდება ყველა საჭირო ღონისძიება, რათა რეგიონში ეპიდემია არ გავრცელდეს.

აიკრძალება თუ არა ქუთაისის ბაზრებსა და მაღაზიებში ხორცითა და ყველით ვაჭრობა, ჯერჯერობით უცნობია.

ინტერ-პრესი.

ენა ჩვენი ქართული

ადამიანის წარმოება?!

ქართული დემოგრაფიული ტერმინოლოგიის სრულყოფისათვის

როგორც ცნობილია, „დემოლოგია“ არ არის ახალი ტერმინი. ის ჯერ კიდევ 1871 წელს შემოიტანა მეცნიერულ ბრუნვაში გერმანელმა სტატისტიკოსმა ერნსტ ენგელმა, იმ მეცნიერების აღსანიშნავად, რომელიც, მისი თქმით, შეისწავლის შინაგანი ბუნებისა და ცვალებადობის წარმოქმნას სახელმწიფო და ადამიანთა სხვა ერთობებში. ე. ენგელის აზრით, „დემოგრაფიისაგან“ განსხვავებით, რომელიც მხოლოდ აღწერს ამ პროცესს, „დემოლოგია“ მოწოდებულია ახსნას მისი არსი. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ყველა აღიარებს „დემოგრაფიასთან“ შედარებით ტერმინ „დემოლოგიის“ უფრო მეტ ლოგიკურობას, სამწუხაროდ, ტრადიციისადმი პატივისცემის გამო, მან მაინც ვერ დაიმკვიდრა ადგილი მეცნიერების სახელწოდებად (თორემ თეორიული დემოგრაფიის სინონიმად მას დღესაც ბევრი მეცნიერი იყენებს).

მიგვაჩნია, რომ მეცნიერების სახელწოდება ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს მისი შესწავლის საგანს, ისევე როგორც ნებისმიერი მოვლენის ნორმალურად განვითარებისათვის აუცილებელია, რომ შინაარსი შეესაბამებოდეს მის ფორმას, ზუსტად ასევე დგას საკითხი „დემოგრაფიის“ „დემოლოგიით“ შეცვლასთან დაკავშირებითაც.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული ცვლილებების მიღების შემთხვევაში კი, სრულ შესაბამისობაში იქნება მეცნიერების სახელწოდება „დემოლოგია“ და მისი შინაარსი. ამასთან, ასეთი სახელწოდება უფრო მეტ პერსპექტივებს სახავს „დემოლოგიური“ (ანუ დემოგრაფიასთან შედარებით უფრო სიღრმისეული) კანონზომიერებების გამოვლენისათვის, რომლებიც დემოგრაფიულ ან უფრო სწორად დემო-სტატისტიკურ კანონზომიერებებთან შედარებით, მეტი სიმყარით უნდა გამოირჩეოდეს და რომელთა განმაპირობებელი მექანიზმების ცოდნა დაგვეხმარება დემოლოგიურ კანონზომიერებათა შემეცნებასა და მათ პრაქტიკულ გამოყენებაში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ქართველ დემოგრაფთა და სხვა მომიჯნავე დარგებში მომუშავე მეცნიერთა კეთილი ნების შემთხვევაში ტერმინ „დემოგრაფიის“ „დემოლოგიით“ შეცვლას, ჩვენი აზრით, წინ არაფერი არ უნდა ელობებოდეს, ხოლო თუ ის ასე ერთბაშად ვერ დაიმკვიდრებს შესაფერ ადგილს, ჩვენ მაინც შევეცდებით, რომ ჩვენს შემდგომ პუბლიკაციებში, „დემოგრაფიის“ ნაცვლად სწორედ ტერმინი „დემოლოგია“ გამოვიყენოთ.

რაც შეეხება დემოგრაფიის ან უფრო სწორად დემოლოგიის ერთ-ერთ ფუნდამენტურ და საკმაოდ გავრცელებულ ტერმინს „მოსახლეობის აღწარმოება (კვლავწარმოება),“ ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ შემდეგს: ამ ტერმინში ჩვენთვის მიუღებელია სიტყვა „წარმოება,“ რომელიც მოსახლეობასთან მიმართებაში ქართული ენის ბუნებისათვის უცხო და შეუთავსებელია. არ შეიძლება საუბარი „მოსახლეობის წარმოებაზე“ და მით უმეტეს მის ტერმინად დამკვიდრებაზე. ის, რაც სავსებით ლოგიკურია მატერიალური წარმოებისათვის (მაგალითად, სამრეწველო თუ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის „წარმოება“) სრულიად მიუღებელია საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი უმნიშვნელოვანესი სფეროსათვის, როგორიც არის მოსახლეობის განახლება ან როგორც აქამდე ამბობდნენ, „მოსახლეობის წარმოება“, ანუ „მოსახლეობის კვლავწარმოება (აღწარმოება).“

ჩვენთვის ნათელია ამ ტერმინის დამკვიდრების საფუძველი. როგორც ცნობილია, მან ფეხი მოიკიდა მარქსისტული იდეოლოგიის ბატონობის პერიოდში, მაშინ როცა დემოგრაფია ჯერ კიდევ პოლიტიკური ეკონომიისა და სტატისტიკის ჩარჩოებში ვითარდებოდა, და რომელთათვისაც, როგორც ეკონომიკური დისციპლინებისათვის, მაშინ წარმოების პროცესს, მათ შორის, მოსახლეობასთან მიმართებაშიც, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

იმ პერიოდში გაბატონებული ერთ-ერთი იდეოლოგიური დოგმის მიხედვით: „...ისტორიაში საბოლოო ანგარიშით განმსაზღვრელი მომენტია უშუალო ცხოვრების წარმოება და აღწარმოება. მაგრამ თვით იგიც კიდევ ორგვარი ხასიათისაა. ერთი მხრივ, ცხოვრების საშუალებათა, კვების საგნების, ტანსაცმლის, ბინის და ამისათვის აუცილებელი იარაღების წარმოება. მეორე მხრივ, წარმოება თვით ადამიანებისა, მოდგმის (გვარის) გაგრძელება. საზოგადოებრივი წყობილება, რომელშიც განსაზღვრული ისტორიული ეპოქის და განსაზღვრული ქვეყნის ადამიანები ცხოვრობენ, განპირობებულია ორივე სახეობის წარმოებით: ერთი მხრივ — შრომის, მეორე მხრივ — ოჯახის განვითარების საფეხურებით,“ — ტოლობის ნიშანი იყო დასმული მატერიალურ და ადამიანურ „წარმოებას“ შორის. უფრო მეტიც, ამავე აზრს ანვითარებდა საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებელი და შესაბამისად იმავე იდეოლოგიის გამტარებელი, ვ. ი. ლენინი, რომელიც აღნიშნული დოგმის შესაბამისად იყენებდა გამოთქმას: „ბავშვთა წარმოების ურთიერთობები...“. ასეთი ბევრი მაგალითის მოხმობა შეიძლება, რომლებიც მხოლოდ იმას დაადასტურებენ, რომ ტერმინი „მოსახლეობის კვლავწარმოება (აღწარმოება)“ არის ეკონომიკური ტერმინის „კვლავწარმოება“ ანალოგით შექმნილი ხელოვნური კომპოზიტი და აშკარად შეუსაბამოა მისი დემოგრაფიული (დემოლოგიური) შინაარსისათვის.

გასაგებია, რომ ძნელია ყველა მეცნიერული ცნების გამომხატველი ადეკვატური სიტყვის მონახვა (მით უფრო, თუკი ეს მეცნიერება მოცემულ ენაზე ჯერ კიდევ ახლადფეხადგმულია), რასაც, როგორც ჩანს, კარგად გრძნობდნენ ტერმინ „მოსახლეობის კვლავწარმოების (აღწარმოების)“ შექმნისა და დადგენის დროსაც, მაგრამ მაშინ სხვა უკეთესი ვარიანტი ვერ მოიძებნა (ალბათ იმიტომაც, რომ რუსული ტერმინის Воспроизводство населения–ს მსგავსად და ანალოგიით მასში აუცილებლად უნდა ყოფილიყო სიტყვა „წარმოებაც“, რაც, როგორც აღვნიშნეთ, არცთუ მთლად გამართლებულია). საკმაოდ ცხარე კამათი ამ ტერმინის დადგენისას (აქ იგულისხმება, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური ტერმინი Воспроизводство, რომლიდანაც არის ნაწარმოები დემოგრაფიული (დემოლოგიური) ტერმინებიც „მოსახლეობის კვლავწარმოება“ და „მოსახლეობის აღწარმოება“) მხოლოდ იმის შესახებ მიმდინარეობდა, რომ სიტყვა „წარმოებას“ წინსართად „კვლავ“ თუ „აღ“ ნაწილაკი დართვოდა, რასაც იმ თვალსაზრისით, როგორც ჩვენ მას განვიხილავთ, არსებითი მნიშვნელობა არც კი ჰქონდა. უფრო მეტიც, ერთ-ერთი ამ ტერმინთაგანი, კერძოდ კი „მოსახლეობის აღწარმოება“ ტავტოლოგიურადაც კი ჟღერს ისეთ მონათესავე შინაარსის დემოგრაფიულ ტერმინში, როგორიც არის „მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოება,“ რადგანაც ნაწილაკი „აღ“, რომელიც თანამედროვე ქართული წინსართის „ა“-ს (აშენება, ასვლა, აკინძვა და სხვ.) ძველ ფორმას წარმოადგენს, ნიშნავს ქვემოდან ზემოთ მიმართულებას, ანუ „მოსახლეობის აღწარმოება“ ფაქტობრივად გულისხმობს არსებული მოსახლეობის რაოდენობრივ მატებასაც, და შესაბამისად აღარ საჭიროებს დამატებით განმარტებას სიტყვით „გაფართოებული,“ რაც მთლიანად ტერმინს, „მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოება,“ როგორც ვთქვით, ტავტოლოგიად აქცევს.

„მოსახლეობის კვლავწარმოების (აღწარმოების)“ ნაცვლად უფრო უკეთესი შესატყვისის ძიებისას, თავდაპირველად, ყურადღება შემდეგ ხუთ სიტყვაზე შევაჩერეთ: რეპროდუქცია, რეგენერაცია, განახლება, აღდგენა და გამრავლება. მიუხედავად იმისა, რომ აქედან პირველი ორი სიტყვა უცხოური წარმომავლობისაა (თანამედროვე ქართული ენის ბარბარიზმებით ისედაც გადატვირთულობის გამო, ალბათ აღარ არის სასურველი უკიდურესი აუცილებლობის გარდა მათი მეცნიერულ ტერმინად შემოღება), ჩვენ მაინც განვიხილეთ მათი შინაარსობრივი მხარე (რეპროდუქცია და რეპროდუცირება-ლათ. re-ხელახლა და producо-ვაწარმოებ=1.პოლიტ-ეკონ. საზოგადოებრივი წარმოების განმეორებითი პროცესი, აღწარმოება, კვლავწარმოება; რეგენერაცია-ლათ. regeneration-აღდგენა=1.ტექ. წარმოებაში გამოყენებული, ნამუშევარი პროდუქტებისათვის თავდაპირველ თვისებათა აღდგენა; გენერაცია-ლათ. generation-დაბადება=1. ცხოველების, მცენარეების, მინერალების ერთი გვარის ან სახეობის ყველა წევრი, 2. წარმოშობა, გაჩენა.) და იმის გამო, რომ ორივე ტერმინში ფიგურირებს სიტყვა „წარმოება“ ან „პროდუქტი,“ რაც ჩვენთვის ზემოთ უკვე აღნიშნული მიზეზების გამო მოსახლეობასთან მიმართებაში მიუღებელი იყო, ამიტომაც უარი ვთქვით მათ ტერმინად შემოთავაზებაზე.

რაც შეეხება ტერმინს „მოსახლეობის განახლება,“ ის ჩვენთვის მიუღებელი იმის გამო აღმოჩნდა, რომ სიტყვა „განახლება“ გულისხმობს ძველის ახლადქცევას, ხელახლა დაწყებას ანუ თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენას, რაც მოსახლეობასთან მიმართებაში პირდაპირი მნიშვნელობით ძნელი წარმოსადგენია.

დაახლოებით ანალოგიური მოტივით ვთქვით უარი ტერმინ „მოსახლეობის აღდგენაზეც“. ამიტომაც, საბოლოოდ არჩევანი ტერმინ „მოსახლეობის გამრავლებაზე“ შევაჩერეთ. ალბათ საინტერესოა, თუ რით არის მოტივირებული ამ ტერმინის შემოღება უკვე დამკვიდრებული ტერმინის „მოსახლეობის კვლავწარმოების (აღწარმოების)“ სანაცვლოდ? ვგრძნობთ რა ოპონენტების არსებობას, შევეცდებით უფრო ვრცლად შევჩერდეთ ტერმინ „მოსახლეობის კვლავწარმოება (აღწარმოება)“-სთან შედარებით, ტერმინ „მოსახლეობის გამრავლებას“ უპირატესობაზე.

როგორც ცნობილია, ტერმინოლოგიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ტერმინისა და ცნების ადეკვატურობის საკითხს ეთმობა. კარგად შედგენილი ტერმინი უთუოდ უნდა იძლეოდეს წარმოდგენას შესაბამის საგანსა თუ მოვლენაზე. ამიტომ ისეთი ტერმინია მიჩნეული იდეალურად, რომელიც გამჭვირვალეა თავისი შინაარსის მიხედვით და საშუალებას გვაძლევს ადვილად ამოვიკითხოთ ის მნიშვნელობა, რომელიც მის შესაბამის ცნებას გააჩნია. ამისათვის საჭიროა ტერმინის პირდაპირი მნიშვნელობა ემთხვეოდეს მის ნამდვილ მნიშვნელობას.

ვაჟა ლორთქიფანიძე,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
ანზორ თოთაძე,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
ანზორ სახვაძე,
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ 185.

განცხადებები ტენდერების ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური აგარებს ღია ტენდერს თბილისის ზღვის მოვლა-პატრონობისათვის გასაწევი მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

09.00 მზერა დღის ბოლოს 10.00 სერიალი "**ველური მთვარე**" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10, 20.50 მინისერიალი "**შტრაუსების დინასტია**" 12.10, 21.45 სერიალი "**ქვეყნის კიდეზე**" 13.10 მხ. ფილმი "**დასაკარგი არაფერია**" (მარტინ ლოურენსი) (U) 15.10 სერიალი "**მარია ემილია**" 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 16.10 სერიალი "**დინოტოპია**" 17.10 მულტსერიალი "რედვოლი" 17.35 მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" 18.10 დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" 19.00 სერიალი "**ველური მთვარე**" 22.45 არჩევანის ზღვარზე 00.00 მხ. ფილმი "**განკითხვის ღამე**"

13.00 მუსიკა 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 სერიალი "**მილედი**" 19.20, 21.00 სპექტრი 00.30 მუსიკა

202

10.00 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი "**ნიკიტა**" (15) 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი "**შოუ იწყება**" (რ. დე ნირო) (U) 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი "**მუსკულები**" (გან.) 20.00 მხ. ფილმი "**მუმია**" (ბ. ფრეიზერი) (U) 22.00 სერიალი "**მუსკულები**" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის "კენო" 22.45 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი "**სამი ფერი: ლურჯი**"

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასკვნა შენ გამოიტანე...

რაღა არ ხდება

ქმარი „სათამაშო ბიჭუნადან“

ნათქვამია, — სიყვარულისთვის უნდა იბრძოლოო. გააჩნია, როგორ იბრძოლებ, ვისთან იბრძოლებ...

სოფი ლორენმა 15 წელიწადი შამპურზე იტრიალა, „მეტოქეს“ ოჯახი მაინც დაანგრევინა, ქმარი წაჰგვარა და შვილებიც გააჩინა;

ჯულია რობერტსმა მართლაც ხმაური ატრიალა, გაჯიუტებულ „მოწინააღმდეგეს“ 200 მილიონი დოლარი გადაუხადა, სხვისი ქმარი შინ დაისვა და ახლა ტყუპებს ელოდება;

ჯენიფერ ლოპესმა ისე გადარია დღევანდელი ქმარი მარკ ენტონი, რომ „მის მსოფლიო-1993“ — დაიანა ტორესი შინიდან გააგდებინა და პირველი ღამე კალიფორნიის შტატში, სანტა-ბარბარას იმ რანჩოში ისიამტბილა, რომელშიც თაფლობის თვე ამერიკის პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ თავის მომხიბვლელ მეუღლესთან გაატარა...

მოკლედ, თუ ქალმა გაიწია...

ესეც ნათქვამია, — სიყვარულმა ასაკი არ იცისო. გააჩნია, რა ასაკზეა ლაპარაკი, ვის ასაკზე...

საყოველთაოდ ცნობილმა კინოვარსკვლავმა, 42 წლის დემი მურმა მთელი თავისი ცხოვრება თოიბოებთან („სათამაშო ბიჭუნებთან“) გაატარა. იგი ხელთათმანებივით იცვლიდა ახალგაზრდა პარტნიორებს. მას სექსუალური ურთიერთობები ჰქონდა 36 წლის ოუენ უალსონთან, 32 წლის ოლივერ უიდკონსთან, 30 წლის გაი ოზერთან, 29 წლის ლეონარდო დი კაპრიოსთან, 28 წლის ტობი მაგუაირთან, 27 წლის კოლინ ფარელთან... ახლახან მან იქორწინა 26 წლის ეშტონ კატჩერთან, რომელსაც [illegible] ყოფილი ქმარი ბრიუს უილისიც და მისი სამი შვილიც.

დემი მური გამონაკლისი როდია. დასავლეთის სუპერ-მანათობლები პატარა, ლამის თინეიჯერ მეგობრებს გაშმაგებით ღაქეზებენ და „აბამენ“ კიდეც. ეს ტენდენცია და აღარც აღარავის უკვირს. 8-ჯერ გათხოვილი მის ტეილორი, ჯერ კიდევ 1991 წელს, ცოლად გაჰყვა 20 წლით უმცროს ლარი ფორტენსკის; უფრო უარესიც მოხდა, — 68 წლის მსახიობმა ჯოან კოლინზმა, თანატოლებთან ოთხი უიღბლო ქორწინების შემდეგ, ქმრად 36 წლის იმპრესარიო პერასი გიბსონი „დაითრია“; 62 წლის გახლდათ მსახიობი როქუელ უელში, როდესაც თავი შეაჩნჩა 15 წლით უმცროს რიჩარდ პალმერს, თანაც მილიონერს;

37 წლის მსახიობმა მირა სორვინომ 22 წლის ასევე მსახიობი ქრისტოფერ ბეკუსი შეიყვარა და პირველ ცოლადაც დაუჯდა: თავისზე 15 წლით უმცროს ქირურგ რეზა ჯარაჰის გაჰყვა ცოლად „ოსკარის“ მფლობელი ჯინა დევისიც; 12 წელი აშორებს მსახიობებს ტომ რობინსონსა და სიუზენ სარანდონს; 10 წელი — ქრისტოფერ გეტს და ჯეინი ლიკერტისს...

ასეთი კინოვარსკვლავი ქალების ჩამოთვლა, ძალზე შორს წაგვიყვანს. ეს ტენდენცია უკვე რუსეთსაც შემოეპარა.

დღემდე ეს ქართველები ზედმეტ წლებს კი არა, დღეებს არ ვპატიობთ საპატარძლოებს. ასე ვეზიარებით ან „ცივილიზაციას“, ან „ოჯახურ იდილიას?“

ძახილი სიკვდილის ორმოდან

პიტერ მენტენი 1900 წელს დაიბადა ჰოლანდიაში. მამამისი როტერდამში ცხოვრობდა და ქაღალდის რამდენიმე ფაბრიკასაც ფლობდა.

1923 წელს პიტერ მენტენი ლვოვში ჩავიდა, რომელიც მაშინ პოლონეთს ეკუთვნოდა. მას დამოუკიდებელი ბიზნესის წარმოება სურდა და იქ რაღაც-რაღაცეებიც შეათვალიერა. ცოტა ხანში მან ჰოლანდია საერთოდ დატოვა და პოლონეთის მოქალაქეობა გაინაღდა. ამით მიეცა მიწის ნაკვეთისა და ტყის შეძენის უფლება. მალე სოფელ სოპოტში 4.000 ჰექტარი (ხედავთ?) ფართობიც დაითრია. ამ ფართობში ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა გაიყვანა (ჩვენთანაც ხომ გაიყვანეს, ბაკურიანში), ხეტყე ჰოლანდიაში, გერმანიაში და კიდევ სხვა სახელმწიფოებში გაზიდა და პოლონეთში ერთ-ერთი მდიდარი მემამულე გახდა...



1941 წლის 22 ივნისს გერმანიის ჯარები აღმოსავლეთისკენ დაიძრნენ. მათს რიგებში სს-ის ოფიცრის ფორმით იმყოფებოდა პიტერ მენტენიც. 7 ივლისს იგი პოლიციელებით მიადგა სოფელ სოპოტს, თავის ძველ რეზიდენციასთან შეყარა ხალხი, 30 კაცი გამოარჩია, კარაბინებით დახერიტა და 5-მეტრიან ორმოში პირქვე ჩაუძახა; 29 აგვისტოს პიტერ მენტენმა იგივე აქცია გაიმეორა სოფელ ურიჩში. ამჯერად მან 40 ადამიანი დახერიტა, ძირითადად ქალები და ბავშვები. არჩევდა იმ ადამიანებს, რომლებმაც მემამულეობის დროს ოდნავ რაღაც აწყენინეს ან სულაც ალმაცერად შეხედეს; ორივე სისხლიანი ტრაგედიის შემდეგ პიტერ მენტენი ფაშისტ ჯალათებთან ერთად ღრეობდა და ნაღდი არიელის გმირულ საქციელს ადღეგრძელებდა.

ეჰეი, მხოლოდ 1981 წელს მიუსაჯა ჰოლანდიის უმაღლესმა სასამართლომ პიტერ მენტენს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა და 100 ათასი გულდენის გადახდა. აი, სამართალი!

ჩვენ ახლა ვყიდით მიწასაც, ტყესაც და არავინ იცის, რომელი უცხოელი როდის „შეგვთხრის თოფს უკანალში“, ან დაგვახლის კარაბინს შუბლში. 5-მეტრიანი ორმოები კი უკვე გამზადებულია!

მადა სკოლის მერხიდან

წლევანდელი 20 სექტემბერი მოსწავლეთათვის ორმაგად სასიხარულო დღე იქნება. ცოდნის ზეიმს ზედ დაემატება უფასო ჩანთებითა და სახელმძღვანელოებით გამოწვეული სიხარული, რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტის საჩუქრის სახით უკლებლივ მიიღებს ყველა პირველკლასელი. დანარჩენებს 10-10 ლარი დაურიგდებათ. ცოტაა, მაგრამ მაინც ხეირია. ადრე ესეც არ იყო!

ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო და ჩვენც თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებთ, — ამ კუთხით სხვაგან რა ხდება? რუსეთში, მაგალითად, უკვე ბნედა ემართებათ მოსწავლეთა რაოდენობის შემცირებით და წითელ კოჭებსაც აგორებენ მათ მოსახიბლად. ახლახან კემეროვის ოლქის გუბერნატორმა ამან ტულეევმა სპეციალური განკარგულებით ოლქის ბიუჯეტიდან გამოყო 7 მილიონი რუბლი სწორედ სასექტემბრო აქციის დასაფინანსებლად. აქ 3.500 მოსწავლე უფასოდ მიიღებს ჩანთებს, წიგნებს, საკანცელარიო ნივთებს, აგრეთვე... ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს.

კემეროვის გუბერნატორი აქედანვე აფრთხილებს ქალაქებისა და რაიონების ადმინისტრაციათა ხელმძღვანელებს: — სასტიკად დაისჯება ყველა, ვინც ამ აქციას მთელი სერიოზულობით არ მოეკიდება. სასექტემბროდ ყველა ოჯახს უნდა უხაროდეს ბავშვის სკოლაში უპრობლემოდ გაშვებაო.

შეიძლება კემეროვის ოლქის მაგალითი აქ არც კი მოგვეყვანა, რა მოხდა, — ხვალ თუ არა ზეგ ჩვენთან შეიძლება ტანსაცმელიც გამოჩნდეს, ფეხსაცმლიც, ჩოხა-ახალუხიც, მაგრამ სხვაა მთავარი: — გუბერნატორი მკაცრად მოითხოვს, რომ მოსწავლეთა ტანსაცმელი და ფეხსაცმელი აუცილებლად, სპეციალური შეკვეთით, შეიკეროს მხოლოდ და მხოლოდ ოლქის საწარმოებში. ესე იგი, კემეროველთა ფული ისევ კემეროვოში დატრიალდება, — ბიუჯეტშიც შევა და თითოეულის ოჯახშიც.

აი, ჩვენთანაც თუ ეს დრო დადგა? გახსოვთ თბილისის მაუდ-კამვოლისა და გორის ბამბეულის კომბინატები? თბილისისა და ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკები? თბილისისა და ქუთაისის სამკერვალო საწარმოები? ფაა-ფუ! ვთქვათ და, გაისად პრეზიდენტმა 6 კი არა, უკვე 16 მილიონი ლარი გამონახა. სად შევკეროთ მოსწავლეთა ტანსაცმელი თუ ფეხსაცმელი?

თუმცა, რაღა დროს ეგენია. დღეს ხომ ჩვენს სკოლებში კომპიუტერული ხანაა. ჰოდა, ვის ეკადრება ადგილობრივი პროდუქცია, თანაც მასობრივი წარმოების. ეს ხომ ადრე იყო. ოღონდ საბჭოთა პერიოდს ნუ დავაბრუნებთ და... ტიტვლები ვიელით... ვერ ხედავთ, 1 სექტემბერი 20-ში გადავიტანეთ!

ზონდო გულიაშვილი.

ათლეტიზმი

10 „ოქრო“, 3 „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“ ამერიკიდან

6-10 აგვისტოს ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ ედისონში „ჰოლიდეის“ სპორტულ დარბაზში გაიმართა მსოფლიოს XIII ჩემპიონატი ათლეტიზმში. მასში საქართველოს ეროვნული ნაკრებიც მონაწილეობდა. უნდა აღინიშნოს, რომ გუნდის ყველა წევრი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს ათლეტურ კლუბ „ამირანის“ აღზრდილები არიან.

ქართველთაგან თავი ისახელეს: 75 კგ-მდე წონაში — სერგო მერაბიშვილმა (ათლეტიზმის ოსტატი) 23 წლამდე ახალგაზრდებს შორის წოლჭიმში I ადგილი, ამოწევაში I ადგილი, ბიცეპსებზე წონის აწევაში (ღია პირველობა) II ადგილი დაიკავა.

82,5 კგ-მდე წონაში — ბორის სალარიძე (დამსახურებული ოსტატი) წოლჭიმში (ღია პირველობა) III ადგილით დაკმაყოფილდა.

100 კმ-მდე წონაში კობა ალუდაურმა (საერთაშორისო კლასის ოსტატი) სამჭიდსა და პიცეპსებზე წონაში აწევაში (ღია პირველობა) ოქროს მედლები მოიპოვა და მსოფლიო რეკორდიც დაამყარა.

100 კმ-მდე წონაში სოსო ხარაბაძე (დამსახურებული ოსტატი) წოლჭიმში (ღია პირველობა) მეორე იყო, ბიცეპსებზე წონის აწევაში (ღია პირველობაზე) კი — პირველი.

125 კგ-მდე წონაში ხვიჩა მამედოვს (ათლეტიზმის ოსტატი) წოლჭიმსა (ღია პირველობაზე) და ბიცეპსებზე წონის აწევაში (ღია პირველობაზე) მსოფლიო რეკორდით პირველი ადგილები ხვდა. ანალოგიურ წარმატებას მიაღწია ზემძიმე წონაში გერონტი ჯმუხაძემ (დამსახურებული ოსტატი).

გუნდს უძღვებოდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნიკოლოზ სარალიძე.

ჩვენი ათლეტების უმეტესობა ძალოვან სტრუქტურებში მსახურობს. სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლები არიან კაპიტნები: ნიკოლოზ სარალიძე და გერონტი ჯმუხაძე, კაპრალია სერგო მერაბიშვილი. შინაგან საქმეთა სისტემას ემსახურებიან პოლიციის მაიორი ხვიჩა მამედოვი და პოლიციის კაპიტანი კობა ალუდაური.

ზურაბ ჭავჭანიძე,
ეროვნული ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელი.

სურათზე: გერონტი ჯმუხაძე.

თაობა

წილისყრა — ზვიგენის კბილებით

სოფიკო გურამიშვილი 13 წლისაა (1991 წლის პირველ იანვარს დაიბადა), 51-ე საშუალო სკოლის VII კლასში სწავლობს. საქართველოს და თბილისის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორია ჭადრაკში. შარშან მსოფლიო პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა, ევროპელ თანატოლებთან პაექრობაში კი ბრინჯაოს მედალი ერგო. ამას წინათ სოფიკო გურამიშვილი ჯაკარტაში იმყოფებოდა ინდონეზიის ჭადრაკის ფედერაციის მიწვევით და იქაურ ახალგაზრდა ოსტატს — ირენ კარიშმა სუკანდარის შეხვდა ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში.

— ირენი შარშან ჰალკიდიკის (საბერძნეთი) მსოფლიო პირველობაში მონაწილეობდა და მეცხრე ადგილი დაიკავა, — მითხრა სოფიკომ. — მისი მწვრთნელია ინდონეზიელი დიდოსტატი უტუტ ადიანტო. კარიშმას ყველა შეჯიბრებაზე დაჰყვება თავისი პირველი დამრიგებელი კრისტიანუს ლიმი, რომელიც პროფესიით ჟურნალისტია. იგი შარშან საბერძნეთშიც იყო და ჯაკარტაში ჩემი მიწვევის ერთ-ერთი ინიციატორიც გახლდათ.

— ირენის „სპარინგ-პარტნიორად“ შენ რატომ ამოგირჩიეს?

— ინდონეზიაში ჩასვლისთანავე მეც ეს შეკითხვა დავუსვი კრისტიანუს, — ჩაერია საუბარში ქეთი გურამიშვილი, რომელიც უმცროს დას ახლდა ჯაკარტაში მამასთან ერთად, — ჩინელი მსოფლიო ჩემპიონი დინგ უიხინი ხომ თქვენთან ტერიტორიულადაც უფრო ახლოს იყო-მეთქი. ლიმმა მიპასუხა: შინ დაბრუნებისთანავე მე და ადიანტომ შევისწავლეთ მსოფლიო პირველობის პრიზიორთა პარტიები. შემოქმედებითი თვალსაზრისით, სოფოსთან თამაში ჩვენთვის უფრო საინტერესო ვარიანტი იყო.

— ტურნირი ვინ დააფინანსა? — ვკითხე სოფოს.

— ცნობილმა ინდონეზიელმა ბიზნესმენმა ეკა პუტრამ. იგი 45 წლის მამაკაცია. ჭაბუკობისას მოჭადრაკე ყოფილა და ახლაც დიდ პატივს სცემს ბრძენთა თამაშს. ჯაკარტის ცენტრში ადიანტოს სახელობის ექვსსართულიანი საჭადრაკო სკოლა ააშენა, რომელიც ჩემი და ირენის მატჩით გაიხსნა.

წინასწარ იყო გადაწყვეტილი, რომ 2 ოცდახუთწუთიან და 4 კლასიკურ პარტიას ვითამაშებდით. წილისყრა აეროპორტშივე გაიმართა. მასპინძლებმა ზვიგენის ორი კბილი მოიტანეს, ერთზე „თეთრი“ ეწერა, მეორეზე — „შავი“. თეთრი ფერის ფიგურები შემხვდა, თუმცა პირველი პარტია ჩემთვის უიღბლოდ წარიმართა. არც იყო გასაკვირი — გვამ დამდალა: თბილისიდან ჯაკარტამდე 20 საათი ვიფრინეთ, აკლიმატიზაციაც ვერ მოვასწარი. დღის ორ საათზე მე და ირენი საჭადრაკო მაგიდას რომ შემოვუსხედით, მაშინ თბილისში დილის 6 საათი თუ იქნებოდა.

პირველი 25-წუთიანი პარტია წავაგე, მაგრამ ერთსაათიანი შესვენების შემდეგ შავი ფიგურებით წონასწორობა აღვადგინე. სერიოზული პარტიებიდან ზედიზედ სამი მოვიგე და მხოლოდ მეოთხეში დავმარცხდი. საბოლოოდ 4:2 გავიმარჯვე. ფულად ჯილდოსთან ერთად ფასიანი საჩუქრებიც მივიღე.

— როგორ გიმასპინძლეს?

— ჩინებულად! ქალაქის ცენტრში ხუთვარსკვლავიან სასტუმროში მოგვათავსეს. აეროპორტში მატჩის ორგანიზატორებთან ერთად დაგვხვდნენ ადგილობრივი ტელევიზიის 16 არხის წარმომადგენლები, ასევე, გაზეთებისა და თინეიჯერული ჟურნალების კორესპონდენტები. უამრავ შეკითხვას მაძლევდნენ. ჩვენს შეხვედრას ისე აშუქებდნენ, თითქოს მსოფლიო ჩემპიონატის პაექრობა ყოფილიყოს. სხვათა ორის, მატჩსაც ასე ერქვა — „გზა მომავალი ჩემპიონობისაკენ“. მასპინძლებმა მითხრეს, სხვადასხვა დროს ჩვენი სტუმრები იყვნენ სიუ ცზუნი, ანტუანეტა სტეფანოვა, იუდით პოლგარი, ანატოლი კარპოვი, ნაიჯელ შორტი, ნანა ალექსანდრია და სხვები. მათი უმრავლესობა მსოფლიო ჩემპონი გახდა და შენც ამასვე გისურვებთო.

— ქალაქის დათვალიერება თუ მოასწარით?

— ჯაკარტა თორმეტმილიონიანი უზარმაზარი ქალაქია, გადატვირთული მოძრაობით. ძალიან ცხელა, სუნთქვა ჭირდა, მაგრამ იმ ერთი კვირის განმავლობაში მზე არ გვინახავს. საღამოს ექვს საათზე იქ უკვე ბნელა, ამიტომ ადამიანები დილის 6 საათიდან იწყებენ მუშაობას. მასპინძლებმა დაგვათვალიერებინეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი. ვიყავით იქაურ „დისნეი ლენდში“, „ზღვის სამყაროში“ — უზარმაზარი აკვარიუმები აქვთ გვირაბებში, სადაც ზვიგენებიც კი ჰყავთ. ყველაფერი ისეა მოწყობილი, როგორც ზღვის ფსკერზე. საოცარი სანახაობა იყო.

კმაყოფილი ვარ ჯაკარტაში ნანახითა და განცდილით, ამ მატჩისთვის თბილისში ერთ თვეზე მეტ ხანს ვემზადებოდი დიდოსტატ ზურაბ სტურუას და საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ გოგი მაჭარაშვილის ხელმძღვანელობით. მადლობა მინდა ვუთხრა მათ დახმარებისთვის. კარიშმასთან მატჩი მომავალი ორთაბრძოლებისთვის მოსამზადებლად ნამდვილად წამადგება.

ესაუბრა
ვაჟა დანელია.

სურათებზე: სოფიკო გურამიშვილი; ირენი, ქეთი და სოფიკო; შეხვედრის მომენტები.

გვაქვს საგანძური ულევი

როგორი იქნება შურუბუმუს ხვალინდელი დღე?

ჩხოროწყუ დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი, უწინარესად, მრომელი და განათლებული ადამიანებით, აგრეთვე მრავალი ბუნებრივი სიმდიდრით გამორჩეული რაიონია.

ამ ბოლო დროს კი ჩხოროწყუს სახელი კიდევ ერთხელ გახმაურდა სოფელ თაიას მახლობლად. შურუბუმუს მღვიმურ კასკადთან დაკავშირებით, რომელიც მაგარიის მთის კირქვულ მასივზე მდებარე წიფურიასა და ოჟუნვარის კასტრული ტაფობების გავლენით არის წარმოქმნილი.

— შურუბუმუს მღვიმის არსებობა ოდითგანვე იყო ცნობილი — გვითხრა ჩხოროწყუს რაიონის გამგებლის მოადგილემ იგორ ფიჩხაიამ, — მაგრამ მისი ღრმა შესწავლით ადრე თითქმის არავინ დაინტერესებულა. ჯერ კიდევ 1985 წელს მე და კიდევ რამდენიმე ჩხოროწყუელმა — როლანდ ქარცხავამ, გიგლა გობეჩიამ, მურმან გახარიამ, კოტე ნაჭყებიამ, კოტე კუკუამ, დავით თოლორდავამ დახმარებისთვის თხოვნით მივმართეთ ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ხელმძღვანელებს. მათ ყურად იღეს ჩვენი თხოვნა და სპეციალური ექსპედიცია ჩამოწყვეს უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის ბორის გერგედავას ხელმძღვანელობით. კომისიის წევრები იყვნენ ვახტანგ კაპანაძე და ამირან კამრიშვილი. მღვიმის შესწავლასთან დაკავშირებით აუცილებელი გახდა გეო-ელექტრონული გამოკვლევების ჩატარება, რომელიც განახორციელეს გეოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლებმა მ. ჯაშის ხელმძღვანელობით.

სამწუხაროდ, იმ პერიოდში და უფრო მოგვიანებითაც ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური ვითარების გამო ექსპედიციების ჩამოსვლა შეწყდა.

1994 წელს მღვიმის შესწავლის კეთილშობილური საქმის გაგრძელება გადაწყვიტა საქართველოს სამაშველო სამსახურმა მამუკა ნიკოლაძის,

ვახტანგ ჩიხლაძის და ედემ ჯალაღონიას ხელმძღვანელობით.

სწორედ ისინი დაუკავშირდნენ ფრანგებს, მოპოვებული მასალები შეიტანეს ინტერნეტში. თანამედროვე სპელეოლოგიური ტექნიკის გამოყენებით დამატებით გამოიკვლიეს ახალი მღვიმეებიც. მაგარიის მასივის წიაღში არსებული მღვიმური სისტემის შესწავლით დაინტერესდნენ ფრანგი სპელეოლოგები, რომლებიც ამ მიზნით პირველად 1999 წლის აგვისტოში ჩამოვიდნენ ჩხოროწყუში.

ეს ჩამოსვლა დაზვერვითი ხასიათისა იყო, ხოლო მეორედ, 2001 წელს, ფრანგ სპელეოლოგებთან ერთად სორბონის უნივერსიტეტის თანამშრომლებიც ჩამოვიდნენ.

ამჯერად — ქართველი სპელეოლოგების ინიციატივით და მათივე თანხლებით ჩხოროწყუს რაიონს უკვე მესამეჯერ ეწვია ფრანგი, პოლონელი და უკრაინელი სპელეოლოგების ჯგუფი 60-მდე კაცის შემადგენლობით.

სტუმრებს რაიონის საზოგადოებრიობამ გულთბილი, ტრადიციული სტუმართმოყვარული შეხვედრა მოუწყო.

საქმის საბოლოო დაგვირგვინებისთვის კი სამეცნიერო-არქეოლოგიურ შესწავლასთან ერთად რაიონში უცხოური ინვესტიციების შემოსვლას ელოდებიან.

იოსებ გოგეჩია,
„სრ“ საკ. კორ.
ჩხოროწყუ.

ნაირ-ნაირი

რუსეთელი ქართველების გამარჯვებით

მოსკოვში, ჩოგბურთის საერთაშორისო აკადემიის „ვალერის“ ბაზაზე გაიმართა 14 წლამდე ყმაწვილებისა და გოგონების საერთაშორისო ტურნირი Russian Open.

ბიჭების ერთეულთა ასპარეზობაში ყველა დაჯაბნა ალექსი ირემაშვილმა. გოგონებში კი პირველობა არავის დაუთმო ნელი ძიძიშვილმა.

ამასთან, ნელიმ, ლიკინასთან ერთად, თავი ისახელა წყვილთა შეჯიბრებაშიც.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გამარჯვებულები ამ ტურნირზე რუსეთის პრესტიჟს იცავდნენ.

რაში ვარჯიშობდა?

ათენის ოლიმპიური თამაშების წინ დიდი თავსატეხი გაუჩინა ავტრალიის სპორტულ საზოგადოებრიობას ერთერთმა საუკეთესო მძლეოსანმა ქალმა ტემსინ ლიუსმა. ის 22 წლისა იყო, როცა ოთხი წლის წინ სიდნეის ოლიმპიადაზე 800 მეტრზე გარბენის ნახევარფინალში მოხვდა. ახლა კი მისგან უფრო ღირსეულ ასპარეზობას მოელოდნენ, რომელიმე სინჯის მედალსაც კი.

ამ დიდ საპასუხისმგებლო შეჯიბრებებისათვის სათანადოდ მოსამზადებლად ლიუსი დიდ ბრიტანეთში მიავლინეს. მისი მწვრთნელები — მძლეოსნობის ლეგენდები სებასტიან კოე და დეილა ტომპსონი ქალიშვილით, თითქოსდა, კმაყოფილნი იყვნენ. მათი თქმით, ტემსინთან მუშაობას არც კი დაიწყებდნენ, მისი პოტენციალი რომ არ დაენახათ.

მაგრამ ბოლო ხანებში ისინიც და მორბენალის გამომგზავნელებიც შეაშფოთა მისმა მსუბუქმა საქციელმა, რადგან ის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა არა სპორტული, არამედ სხვა ტალანტის განვითარებას.

ის მონაწილეობდა ფოტოგადაღებებში, სადაც აღბეჭდეს ძალზე მაცდუნებელ პოზაში ოკეანის ნაპირებზე. ტანსაცმლიდან მას მხოლოდ ვითომდა საბანაო კოსტიუმი ემოსა. ამ ფოტო-სერიის შედეგები სექტემბერში გამოქვეყნდება ავსტრალიაში პოპულარული ჟურნალის „რალფის“ ფურცლებზე.

მძლეოსნობის გულშემატკივრები წუხან, რომ ტემსინი სირბილს, ალბათ, ფოტომოდელობას ამჯობინებს.

* * *

ამ დროს კი რუსეთელი ჩოგბურთელი ანასტასია მისკინა აპირებს, სასამართლოში უჩივლოს ჟურნალ GO-ს, რომელმაც სპორტსმენი ქალის სურათები გამოსაქვეყნებლად გადასცა რუსულ ჟურნალ „მედვედს“. ისე, რომ მისგან ნებართვა არ აუღიათ.

ჩაცმული ჩოგბურთელის ფოტოსურათი, რომელიც მარკ სელიგიერმა გადაიღო, ჟურნალმა GO-მ 2002 წლის ოქტომბერში გამოაქვეყნა, „მედვედის“ ივლისის ნომერში კი ანასტასია თითქმის გაშიშვლებული მოგვევლინა.

როგორც ადვოკატი ალქსანდრე ბერკოვიჩი აცხადებს, მისი კლიენტი ჟურნალ GO-დან, მის რუსულ პარტნიორისაგან და ფოტოგრაფ სელიგიერიდან კომპენსაციად მოითხოვს 8 მილიონ დოლარს.

ზეთისხილის რტოების გვირგვინით

თუ არ ვცდებით, მხოლოდ ჭადრაკშიღაა შემორჩენილი, როდესაც მსოფლიო ჩემპიონებს დაფნის გვირგვინით ამკობენ. მაგრამ ახლა ათენის ოლიმპიადაზე ზეთისხილის რტოების გვირგვინებით შეამკობენ ვაჟთა და ქალთა მარათონში გამარჯვებულებს, თანაც ისინი დაწნული იქნება იმ ორი ხის ტოტებიდან, რომელთა ასაკი დაახლოებით 3 ათასი წელია!

მარათონის ტრიუმფატორთა მედლებთან ერთად ასე დაჯილდოება ბოლოსდაბოლოს ალბათ დაასრულებს კრეტას კუნძულის ორი სოფლის მრავალწლიან დავას, თუ რომელი ხე უფრო ხანდაზმულია.

„სხვა გამოსავალი არ გვქონდა, გარდა იმისა, რომ გვირგვინი მამაკაცებისათვის ერთი ხის ტოტებიდან დაგვეწნა, ქალებისა — მეორისა, რათა ეს დავა დაგვემთავრებინა“, — ამბობს თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი იოანა ანგელოპულოს-დასკალაკი.

არც სხვა ოლიმპიური ფინალების გამარჯვებულები დარჩებიან გვირგვინების გარეშე, მაგრამ მათ იმ ხეების ტოტებიდან დაწნავენ, რომლებიც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებმა დიდი ხნით ადრე დარგეს საბერძნეთში ვიზიტების დროს.

ფეხბურთი

ევროპის სტადიონებზე

„ბებერ კონტინენტზე“ ევროტურნირების რამდენიმე მატჩი გაიმართა. გაუწყებთ მათ შედეგებს.

ჩემპიონთა ლიგა. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი შეხვედრები. ცსკა (რუსეთი) — „რეინჯერსი“ (შოტლანდია) 2:1. სტუმრების შემადგენლობაში ორივე ტაიმი ითამაშეს არველაძემ და ხიზანიშვილმა. „დინამო“ (უკრაინა) — „ტრაბზონი“ (თურქეთი) 1:2, პაოკ (საბერძნეთი) — „მაქაბი“ (ისრაელი) 1:2, „გრაცერი (ავსტრია) — „ლივერპული“ (ინგლისი) 0:2, „ბენფიკა“ (პორტუგალია) — „ანდერლეხტი“ (ბელგია) 1:0, „იუვენტუსი“ (იტალია) — „იურგორდენი“ (შვედეთი) 2:2.

უეფას თასი. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები. „ბუდუჩნოსტი“ (სერბეთი) — „მარიბორი“ (სლოვენია) 1:2, „ომონია“ (კვიპროსი) — ცსკა (ბულგარეთი) 1:1 (საპასუხო გოლი მუჯირმა გაიტანა, რითაც ბულგარელებს მეორე ეტაპზე გასვლის კარგი შანსი მისცა).

ინტერტოტოს თასი. ფინალი. პირველი მატჩები. „ლილი“ (საფრანგეთი) — „ლეირია“ (პორტუგალია) 0:0. „შალკე“ (გერმანია) — „ლიბერეცი“ (ჩეხეთი) 2:1. „შალკეს“ შემადგენლობაში 90 წუთი ითამაშა კობიაშვილმა. „ვილიარეალი“ (ესპანეთი) — „ატლეტიკო“ (ესპანეთი) 2:0.

სპორტის რედაქცია

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

ხევსურები „ერეკლეობის“ ზეიმზე თელავში.

შალვა შარაშიძის ფოტოარქივიდან. 1995 წ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა.
ტელ: 99-66-10.

⊙ ცოტაც გავიღიმოთ...

— რა არის ალიმენტი?
— ბავშვების კრედიტით ყიდვა.

* * *

— დალიე ჩემი ჯანმრთელობისთვის, — მოულოდნელად ადამიანური ხმით უთხრა სიდედრმა.

* * *

ევა მიღებაზე წასასვლელად ემზადება.
— ადამ, რომელი ფოთოლი უფრო მომიხდება — ნეკერჩხლისა თუ ვაზისა?
— ჭინჭრისა მიიფარე, იქ ალბათ ბევრი თავხედი იქნება...

* * *

— ოჰო! ვისია ეს ავტომატი? — გამომწვევად ეკითხება მიხოს მისი ბინის გასაჩხრეკად მისული პოლიციელების ხელმძღვანელი.
— კალაშნიკოვისა.

* * *

ბიზნესის უპირველესი წესი: მოეპყარი სხვას ისე, როგორც მას სურდა მოგპყრობოდა შენ.

* * *

— ძვირფასო, ვერაფრით ვერ ვპოულობ ჩემს ჰალსტუხს. ახლა სად გადადგი გარდერობი?

* * *

— გილოცავთ! თქვენ ბრძანდებით მეასე მყიდველი, ვინც ცდილობდა, მოეპარა ვიდეოთვალთვალის ეს კამერა.

* * *

— მე კი ტერორიზმისა არ მეშინია! უკვე ხუთი წელია, დაქორწინებული ვარ!

* * *

— ნახე, ის ორი როგორ კოცნაობს, — ეჩურჩულება კინოდარბაზში მარო მიხოს.
— ვხედავ, ვხედავ... მაგათ ერთი ქალიც რომ მისცათ...

⊙ გიხაროდენ!

ერთ თვეში 498 ბავშვი დაიბადა

ყოველი ჩვილის დაბადება ქვეყნის ძლიერების მაუწყებელია. ამიტომაც გვახარებს ყოველი ახალი სიცოცხლის მოვლენა. როგორც ამ დღეებში ქორიძის სახელობის №4 სამშობიარო სახლის საინფორმაციო სამსახურიდან ნათია კანდელაკმა გვაცნობა, მათთან მარტო ივლისში 498 ჩვილი დაიბადა. აქედან ქალი – 231, ვაჟი კი – 267-ია. ექვსმა ქალმა: ლელა ციცქიშვილმა, თინათინ კაპანაძემ, თეა ბარბაქაძემ, ლია სადაღაშვილმა, მაყვალა მამედოვამ და ეგანა ახმედოვამ ტყუპების შეძენით გაიხარეს.

№4 სამშობიარო სახლი ერთ-ერთი მოწინავე სამედიცინო დაწესებულებაა, სადაც პროფესიონალისა და კარგი ორგანიზატორის დალი გაბიძაშვილის მოთავეობით მედპერსონალი ძალ-ღონეს არ იშურებს თავისი უპირველესი საქმის აღსასრულებლად. ამიტომაც ხშირად მოდის რედაქციაში მშობიარეთა და მათი ახლობლების მადლიერებით აღსავსე წერილები მათდამი გამოჩენილი გულისხმიერებისათვის.

კვლავაც „უხემოსავლიანი“ იყოს „მეოთხელებისათვის“ მომდევნო თვეები.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

⊙ მონატრება

ჩემო შვილიშვილებო! ჩემო ნინო და ქეთი!

12 წლის წინათ დაგტოვათ მამათქვენმა. ამ ქვეყნის უკმაყოფილომ იმ ქვეყნად წასვლა არჩია, არც თქვენ შეგიბრალათ და არც მე.

თქვენი ამ ქვეყნად არსებობა მაცოცხლებს, თქვენი ამ ქვეყნად არსებობა მაძლევს სტიმულს და იმედს – ვიცოცხლო.

ნინო! ჩემო საფიცარო ანგელოზო, შენი მოსვლა, შენი დანახვა, შენი ერთი სიტყვა: „ბებო, როგორა ხარო“ დიდხანს მყოფნის გულის დასამშვიდებლად. თითქოს რაღაც მიხარია, თითქოს მინდა, რომ ვიყო ამ ქვეყნად იმისთვის, ვისაც მე ვჭირდები, ვისთვისაც ჩემი სიცოცხლე აუცილებელია (ამას შენ მიმიხვდები, ვისზედაც ვამბობ).

ქეთის შემოევლოს ჩემი სიცოცხლე, შორსაა, სხვაქვეყნად ცხოვრება არჩია, ვინ იცის, მოვესწრები კი მის ნახვას ოდესმე. ნინო, ჩემო ანგელოზო, შენი პატარა მარიამი ჩემი სიცოცხლის გაგრძელებაა, როგორ მინდა, რომ სწორად გამიგო, როგორ მინდა, რომ ბოლვად არ ჩამითვალო ეს ყველაფერი. როცა შენ ბებია გახდები, აი მაშინ, აი მაშინ მიმიხვდები ყველაფერს, მაშინ მიმიხვდები, რა ყოფილა შვილიშვილი, რა ძალა ჰქონია მის სიყვარულს.

თქვენი ბებო — ნინო ზვარამაძე.

იყიდება ნატურალური ღვინო „ციცქა“, 8 ტონა. 1 ლიტრის ფასი – 2.50 ლარი.
ტელეფონი 35-48-70.
დარეკეთ საღამოს საათებში.

⊙ თაობა

„საფორტეპიანო ზაფხულის“ ქართველი რჩეული

ფესტივალი, რომელიც ყოველწლიურად იმართება ნიუ-იორკში „საფორტეპიანო ზაფხულის“ (Piano Summer) სახელწოდებით, ერთ დროს რუსეთში მოღვაწე მუსიკოსმა ვლადიმერ ფელცმანმა ამ ცხრა წლის წინათ დააარსა და მისი სამხატვრო ხელმძღვანელია დღემდე. იგი კარგა ხანია ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს და ნიუ-იორკის განაპირას ნიუ-პალსში მენესის უძლიერესი მუსიკალური სკოლის პროფესორია. ფესტივალს მასპინძლობს სახელმწიფო უნივერსიტეტ ნიუ-პალსის მუსიკალური კომპლექსი, სადაც ყოველ ზაფხულს თავს იყრიან სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ნიჭიერი ახალგაზრდები, ფესტივალი მათ პროფესიულ ზრდასა და დახვეწაში, მსოფლიო მუსიკალური პროცესების ინტეგრაციაში ეხმარება. უჩვეულოა ფესტივალის რეჟიმი. პირველ სამ კვირას პიანისტებს მასტერკლასებს უმართავენ მსოფლიო მუსიკალურ ასპარეზზე აღიარებული მუსიკოსშემსრულებლები, იგივე ჟიურის წევრები, რის შედეგადაც მათი შერჩეული პიანისტები ფესტივალის დასკვნით ეტაპში — კონკურსში მონაწილეობენ.

კონკურსი ცნობილი პიანისტისა და პედაგოგის, არაერთი ნიჭიერი მუსიკოსის აღმზრდელის, მოსკოვის კონსერვატორიის ყოფილი პროფესორის იაკობ ფლიერის სახელობისაა და თავად ვლადიმერ ფელცმანიც სწორედ მისი აღზრდილია.

ამ ფესტივალთან ძალზე აქტიურად თანამშრომლობს ჩვენი თანამემამულე, ქართველი პიანისტი, ამჟერად ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი ეთერ ანჯაფარიძე. განსაკუთრებით ეხმარება იგი საქართველოდან ჩასულ ახალგაზრდებს და შეიძლება ითქვას, ყოველნაირად პატრონობს მათ. არსებობის ცხრა წლის მანძილზე ნიუ-პალსს სტუმრობდა არაერთი ქართველი ახალგაზრდა.

სულ ახლახან თბილისში დაბრუნდა ალექსანდრე ბერიძე, ამ პრესტიჟული კონკურსის გამარჯვებული, რომელიც უშუალოდ ეთერ ანჯაფარიძის მიწვევით იმყოფებოდა ნიუ-იორკში. იგი პირველი ქართველი შემსრულებელია, რომელმაც კონკურსის უმაღლესი ჯილდო — პირველი პრემია მოიპოვა და ამავე დროს ერთ-ერთი პირველი ახალგაზრდაა, რომელსაც საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ გამოუყო სამგზავრო გრანტი. ეს უკანასკნელი გაიცემა საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებსა და მასტერ-კლასებში ნიჭიერი ახალგაზრდების მონაწილეობის მხარდაჭერის მიზნით, რაც სამინისტროს პროფესიული მუსიკალური ხელოვნების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. სამგზავრო ხარჯის გარდა ალექსანდრეს დიდად დაეხმარა ქართველი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის ფონდი.

ვინც ქართულ მუსიკალურ ცხოვრებას თვალს ადევნებს, დამეთანხმება, რომ ბოლო წლებში ალექსანდრე ბერიძის სახელი, როგორც კარგი საშემსრულებლო კულტურისა და პერსპექტიული პიანისტისა, ძალუმად ხმიანებს მუსიკალურ ასპარეზზე. მან თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია პროფესორ ედიშერ რუსიშვილის ხელმძღვანელობით დაასრულა და მინიჭებული აქვს სოლისტის, ანსამბლისტისა და აკომპანიატორის კვალიფიკაცია. ამჟამად იგი თავისივე პედაგოგის ასისტენტი — სტაჟიორია. პარალელურად წარმატებით დაამთავრა ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ჟურნალისტიკის სპეციალობა და ამჟამად სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობს. ყოველმხრივ ნიჭიერი და შრომისმოყვარე ახალგაზრდა არის კ. გამსახურდიას, შულცისა და ვლადიმერ სპივაკოვის სტიპენდიატი, ნოდარ გაბუნიას სახელობის პიანისტთა ეროვნული (2002) კონკურსის ლაურეატი და პრიზიორი, მუსიკოს-შემსრულებელთა III რესპუბლიკური და ს. ცინცაძის სახელობის კამერული ანსამბლების კონკურსის ლაურეატი, საკონცერტო პროგრამების აქტიური მონაწილე.

ასეთი ბიოგრაფიის მქონე ახალგაზრდას წარმატება ნიუ-იორკში გასაკვირი არ არის. წლევანდელი ჟიური უმაღლესი რანგის მუსიკოსებმა შეავსეს. ალექსანდრე სლობოდიანიკი, პოლ ოსტროვსკი, ეთერ ანჯაფარიძე, ფილიპ კუვინი, რობერტ ჰამილტონი. ამჟერად, ჟიურის მოწვევებული ახალგაზრდების შერჩევაში დაეხმარა მუსიკოსი იევტა ბახტაძე, ეთერ ანჯაფარიძის დედა.

— საქართველოდან პირველად გავემგზავრე საზღვარგარეთ და ბუნებრივია, საუკეთესო შედეგზე ვოცნებობდი, სხვანაირად როგორ გამემართლებინა მათი იმედები, ვინც ხელი შემიწყო იქ წასვლაზე, მაქსიმუმი გავაკეთე და ჟიურიმაც დამიფასა, — ამბობს ახალგაზრდა პიანისტი.

საკონკურსო შერჩევის პრინციპი კი ასეთი იყო. მასტერ-კლასებში მონაწილეს კარგად და უმალ უნდა გაეთვალისწინებინა პედაგოგთა შენიშვნები და მითითებები. სწორედ ეს იყო ჟიურის შეფასების კრიტერიუმი, რის შედეგადაც მონაწილეს კონკურსში უშვებენ. ქართველი პიანისტი ფესტივალზე სამი სოლო კონცერტის ტოლი პროგრამით წარსდგა, სხვადასხვა ეპოქის კლასიკურ ქმნილებებიდან დაწყებული ვიდრე იმპრესიონიზმამდე. ფინალში მან შეასრულა ბახის, რაველისა და ლისტის ნაწარმოებები. უკვე გამარჯვებულმა კი ხუძონის ფილარმონიის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად შეასრულა ლისტის პირველი საფორტეპიანო კონცერტი. მას ერგო პატივი, გაისად გახსნას საიუბილეო, მეათე „საფორტეპიანო ზაფხული“.

ახალგაზრდა პიანისტი განსაკუთრებით აღნიშნავს ეთერ ანჯაფარიძის გულისხმიერებასა და მზრუნველობას. სწორედ მისმა ახლობელმა ოჯახმა მარინა და ჯიმი მიჩელებმა დააფინანსეს მთელი თვით ალექსანდრეს იქ ცხოვრება (ქალბატონი მარინა ქართველია). ამას გარდა, ქალბატონმა ეთერმა ალექსანდრე სწავლის გასაგრძელებლად ჩიკაგოში მიიწვია. „დაე, ამ პირველ საერთაშორისო გამარჯვებას მოჰყვეს მრავალი ახალი წარმატება და ბედნიერება, დაგილოცავ დიდ შემოქმედებით გზას, ეამაყობ შენით, გეხვევი. შენი ეთერ ანჯაფარიძე“. ეს დალოცვა ჩამოიყოლა საქართველოში გამარჯვებულმა ალექსანდრე ბერიძემ, რომელიც სამომავლოდაც რამდენიმე საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობას გეგმავს.

რუსუდან მუხიგულაშვილი.

სურათზე: ალექსანდრე ბერიძე და ეთერ ანჯაფარიძე ნიუ-იორკში.

⊙ ახალმშენებლობები

დედაქალაქს ელფერი შემატა

ჩვენს დედაქალაქში ბოლო დროს თანამედროვე დიზაინით აშენებულმა კორპუსებმა და კერძო სახლებმა ქალაქს სულ სხვა ელფერი მისცა. თუმცა ახალმშენებლობების თაობაზე საზოგადოებაში არაერთგვაროვანი აზრი შეიქმნა. მან ხალხის ერთ ნაწილში უკმაყოფილება გამოიწვია, მეორე ნაწილში კი მოწონება დაიმსახურა. ეს უკანასკნელნი, რა თქმა უნდა, ეგრეთ წოდებულ „ბარაკებში“ ცხოვრებას კეთილმოწყობილ ბინებში გადასვლას ამჯობინებენ.

ჩვენ ამ საკითხით დავინტერესდით და სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებარე ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის არქიტექტორს გავესაუბრეთ, რომელმაც ვინაობის დასახელებისგან თავი შეიკავა.

— მშენებლობას ვინ აფინანსებს, ის მაინც გვითხარით.

— დამფინანსებელს ვერ გავამხელ, თუმცა ვიტყვი, რომ ეს კორპუსი ნახევარი მილიონი დოლარი ჯდება და იგი ქალაქის კეთილმოწყობის მიზნით შენდება. ის მოსახლეები, რომლებიც მშენებარე კორპუსის ადგილას „ბარაკებში“ ცხოვრობდნენ, იმავე ფართობის ბინებს მიიღებენ, რაც ადრე ეკავათ. ამის შემდეგ თუ რამე დარჩება, რასაკვირველია, გაიყიდება. ერთი კვადრატული მეტრი ფართობის ღირებულება 200 დოლარია.

ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, კანონიერების დაცვის მიზნით, მშენებლობის პროცესი ერთგვარად შეფერხდა. ეს დროებითია, მაგრამ მოსახლეობას ეშინია, რომ მორატორიუმი გაიწელება და ისინი დიდხანს უბინაოდ დარჩებიან.

— კმაყოფილი ხართ შრომის ანაზღაურებით?

— ანაზღაურება იმისი შესაბამისი ნამდვილად არ არის, რა შრომაც აქ გვიწევს, მაგრამ სულ არარაობას ამას ვამჯობინებთ და უკმაყოფილონი მაინც არ ვართ.

დათო თინიკაშვილი ერთ-ერთ მშენებარე კორპუსში რიგითი მუშაა. იგი დღეში 10 ლარს გამოიმუშავებს. მისი თქმით, ამ თანხიდან მხოლოდ 6 ლარი რჩება, მაგრამ უკმაყოფილო არ არის, რადგან მრავალსულიან ოჯახში პური მაინც მიაქვს. დათოსთვის უცნობია, ვინ არის ამ პროექტის დამფინანსებელი, მაგრამ მადლობელია — მისი წყალობით დღესდღეობით სამუშაო აქვს.

გავესაუბრეთ მშენებარე კორპუსთან ერთ-ერთ „ბარაკში“ მცხოვრებ მოქალაქესაც. როგორც მან განაცხადა, ბოლო დროს მოსახლეობა აფორიაქდა: მშენებლობა 9 თვეში უნდა დასრულებულიყო, უკვე 3 წელია, კორპუსი შენდება და ნახევარი სამუშაოც კი არ არის შესრულებული.

მართალია, დასახელებულ ტერიტორიაზე უკანონო მშენებლობის ფაქტს ვერ წავაწყდით, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ასეთები რეალურად არ არის. ეს პრობლემა დიდი ხანია არსებობს, მაგრამ მისი გადაჭრისთვის ჯერჯერობით კონკრეტული ნაბიჯი არ გადადგმულა. გვჯერა, ხელისუფლება მომავალში კანონიერი მშენებლობების გაფართოებაზე უფრო მეტად იზრუნებს, რაც დადებითად იმოქმედებს როგორც ქალაქის იერსახეზე, ისე ხალხის კეთილდღეობაზე.

თამარ გირგვლიანი,
ლელა სუზელიანი,
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტები.

ხსოვნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამო ზარქუა

გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ბიოლოგიის კათედრის დოცენტი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი **ზამო ჯოგოს ძე ზარქუა.**

ზამო ზარქუამ შინაარსიანი, ნაყოფიერი და ტრაგიკული გზა განვლო ცხოვრებისა. იგი დაიბადა 1936 წლის 15 ივნისს წალენჯიხის რაიონის სოფელ წალენჯიხაში. 1955 წელს დაამთავრა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა.

1955-1958 წლებში მსახურობდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში. ერთი წელი მშობლიური სოფლის ჩაის ფაბრიკაში მუშად მუშაობის შემდეგ, 1959 წელს, ჩაირიცხა ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიულ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1964 წელს და მიიღო ბიოლოგიისა და სოფლის მეურნეობის წარმოების საფუძვლების მასწავლებლის კვალიფიკაცია. იგი დატოვებულ იქნა ინსტიტუტში ბუნებისმეტყველების კათედრის ლაბორანტად, მოგვიანებით უფროსი ლაბორანტი გახდა.

1967 წლის სექტემბრიდან ზამო ზარქუა მშობლიური პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებელია, 1976 წლიდან კი – უფროსი მასწავლებელი.

1977 წელს ზამო ზარქუამ აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის სპეციალიზებული საბჭოს სხდომაზე წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, 1981 წელს – დოცენტის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება.

1978 წელს იგი დაინიშნა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებლად. 1978 წლიდან კი არჩეულ იქნა ამ თანამდებობაზე.

1980-1989 წლებში მუშაობდა ბიოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტის დეკანად.

1989-2002 წლებში განაგებდა ბიოლოგიის კათედრას. მომდევნო წლებში კი მუშაობდა ამავე კათედრის დოცენტად.

ზამო ზარქუა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ვაჟკაცური შემართებით ილვწოდა და ემსახურებოდა მეცნიერებისა და პედაგოგიური აზროვნების განვითარებას, მომავალი თაობის აღზრდისა და კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების უდავოდ დიდ საქმეს. იგი ყველასგან გამოირჩეოდა თავისი პიროვნული განსაკუთრებულობით, მაღალი ინტელექტითა და საოცრად გულთბილი, კეთილმოსურნე დამოკიდებულებით განურჩევლად ყველასადმი.

წავიდა ჩვენგან დევნილობით გატანჯული, მაგრამ ვერგატეხილი ზამო ზარქუა, ნაღდი ქართველი, კეთილი მეგობარი, კოლეგა, კარგი მეოჯახე, საოცრად მოსიყვარულე მეუღლე, მამა, ბაბუა, დიდი ცოდნისა და ინტელექტის მატარებელი, ფრიად ერუდირებული, მკაცრი, სამართლიანი და ბრწყინვალე მასწავლებელი. წავიდა და ამით მოურჩენელი ჭრილობა დაგვიტოვა გულში.

მსუბუქი იყოს მისთვის მიწა ქართული!

მაყვალა კვარაცხელია

გარდაიცვალა სოხუმიდან დევნილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის პედაგოგიური ფაკულტეტის დაწყებითი სწავლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის კათედრის მასწავლებელი **მაყვალა შალვას ასული კვარაცხელია.**

მაყვალა კვარაცხელია დაიბადა 1943 წლის 30 ნოემბერს ქალაქ დუშეთში. 1962 წელს დაამთავრა გალის მე-2 საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1967 წელს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაციით.

1967-1968 წლებში მუშაობდა ლიტმუშაკად გალის რაიონული გაზეთის რედაქციაში.

1968-1974 წლებში ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას გალის რაიონის სოფელ ზემო ბარღების საშუალო სკოლაში.

1974-1993 წლებში მუშაობდა სოხუმის მე-11 საშუალო სკოლასთან არსებული ლოგოპედიური პუნქტის ლოგოპედად, ხოლო 1986 წლიდან ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში კითხულობდა ლექციებს კორექციულ პედაგოგიკასა და მეტყველების კულტურაში.

საკანდიდატო დისერტაცია წარდგენილი ჰქონდა, მის დაცვას სექტემბეროქტომბერში ელოდა. დევნილობით გატანჯულმა, მაგრამ მაინც გაუტეხელმა მცოდნე, ერუდირებულმა და გულისხმიერმა მასწავლებელმა გულთბილი სიყვარული დაიმსახურა და კოლეგებსა და სტუდენტებს შორის დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი მასწავლებელი, მეგობარი და კოლეგა, ერუდირებული და ღვაწლმოსილი პედაგოგი. წავიდა და საოცრად დაგვწყვიტა გული. მაყვალა კვარაცხელიას ნათელი სახე მარად დაუვიწყარი იქნება მეგობრებისა და სტუდენტებისათვის.

მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი.

შვილები რეზო, ნანა სანიკიძეები, რძალი თამარ ჩხაიძე, სიძეები გია ჩანტლაძე, ამური შათირიშვილი, მძახლები ლამარა გორდელაძე, ირაკლი ჩხაიძე, შვილიშვილები მაია, ნინო სანიკიძეები, ია, დიმა ჩანტლაძეები, დისწულები, ძმისწულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ალექსანდრე (სანდრო) ირაკლის ძე
სანიკიძე

პანაშვიდი 12, 13 VIII, 17 სთ. დაკრძალვა 14 VIII, 15 სთ. მის: ბარნოვის 76.

ევგენი მიქელაძის სახელობის საკრავიერო ხელოვნების კოლეჯის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე კოლეჯის დირექტორის მოადგილის ლამარა თაქთაქიშვილის დედა

ევგენია ლაბარტყავა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დედა ოფელია კანანაძე-ნატროშვილი, მეუღლე გიული მჭედლიშვილი, შვილი აკაკი ნატროშვილი, დეიდა ლეილა კანანაძე, დეიდაშვილ-ბიძაშვილები ჯინჯიხაძეები, მესხები, ნატროშვილები, დემეტრაძეები ოჯახებით, მჭედლიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზია კარლოს ძე ნატროშვილი

პანაშვიდი 10, 11 VIII, 17 სთ. დაკრძალვა 12 VIII, 15 სთ.
მისამართი: ვაჟა-ფშაველას მე-2 კვ. მე-2 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-3 სართული.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
გამომცემელი შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები.
მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
ნომრის მორიგე რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika